პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით.

წელიწადი მეხუთე

კომუნისტი

ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია:
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი, № 24 მეორე სართული

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე
ტელეფ. ნომრები რედაქტორის 14—76
მდივანი 10—58

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთველის პრ. № 26
ტელეფ. 5—48

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 1.800.000 მან. განცხადება 12 კაპ. ჩერვონცებით ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მანეთი ჩერვონცებით.

დღიური

— სამხრეთ სლავიაში გაფიცულია 25.000 მუშა.

— ს. ს. რ. კ. სრულუფლებიან წარმომადგენელთან საუბრის დროს მუსოლინიმ განაცხადა, რომ იტალიას [illegible] მტკიცე ურთიერთობის დამყარებაო.

— გერმანიაში გაფიცვები გრძელდება. [illegible] საალყო წესები გამოაცხადა

— რურის ოლქში ბელგიის და საფრანგეთის საოკუპაციო მთავრობა აძლიერებს რეპრესიებს. საფრანგეთის ადმინისტრაცია ახდენს გერმანიის ქონების კონფისკაციას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 188 შაბათი 18 აგვისტო, 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 100,000 მან. № 188

მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა სრულიად საქართველოს კონფერენციის მომწვევ საინიციატივო ბიუროსაგან

ვინაიდან ადგილებიდან მოდის ცნობები, რომ შეუძლებელია თავის დროზე დამთავრდეს არჩევნები,

მენშევიკურ პარტიის ყოფილ წევრთა სრულიად საქართველოს კონფერენცია

გადაიდო ა / წ. 25 აგვისტოსათვის.

ადგილებზე არჩეულ საინიციატივო ბიუროს წევრები უნდა ჩამოვიდენ 24 აგვისტოსათვის.

საინიციატივო ბიურო.

აღმასკომის პრეზიდიუმი

ატყობინებს კომუნალურ განყოფილების, მისი ქვე-განყოფილებებითურთ, სექციაში ჩაწერილ **ხაზჰოს** ყველა წევრებს გამოცხადდნენ აღმასკომის დარბაზში 20 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, დანიშნულ საორგანიზაციო კრებაზე.

დასწრება სავალდებულოა

2002—2—1 **პრეზიდიუმი.**

საჰაერო ფლოტის კვირეულის

გამტარებელი ცენტრალური კომისია

წინადადებას აძლევს ყველა ორგანიზაციებსა და დაწესებულებათ, რომლებსაც კი აქვთ ამ საგნისათვის გადარიცხული თანხები, ორი დღის განმავლობაში წარმოადგინონ კომისიაში.

(საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილების ბინაზე).

ცენტრალური კომისია.

კოალიციონური მთავრობა გერმანიაში

ჩვენს წინ არის პირველი შედეგი ახალი რევოლიუციონური კრიზისის გერმანიაში—შტრაიზემანის კოალიციონური მთავრობა. თუმცა რამოდენიმეთ შენელებული, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც ფართოთ მიმდინარე გაფიცვების, ბევრგან სისხლისმღვრელ შეტაკებებისა და საერთოთ რევოლიუციონური ტალღის განვითარების ატმოსფერაში იღებს ის ხელში სახელმწიფო მართვა-გამგეობის საქმეს, მდგომარეობა ასვრილ და აფორიაქებულ გერმანიაში. რა შეუძლია მისცეს მან თავისი დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ ქვეყანას (მომენტი ეროვნული) და დამშეულ შევიწროვებულ მუშათა კლასს (მომენტი სოციალური), რომელიც აღსდგა ძველი მთავრობის შინაურ პოლიტიკურ-ეკონომიურ და ფინანსიურ პოლიტიკის და ამ პოლიტიკის მამოძრავებელ გერმანიის მქონებელ კლასების წინააღმდეგ?

პოლიტიკა „დაჩოქილთა ბუნტის“ უცხოელი მძლავრის წინააღმდეგ, პოლიტიკა პასიური წინააღმდეგობის—ასეთია სიტყვით მოქმედების ხაზი, რომელსაც თითქოს ისახავს ახალი კაბინეტი. ფაქტია მეორეს მხრით, რომ მთავრობის ახალი თავმჯდომარე გამოხატავს პირადათ ნება-სურვილებს ბურჟუაზიის იმ წრეებისას, რომლებიც მიდიან სრულ კაპიტულიაციაზე საფრანგეთის მიმართ. ამნაირათ კაბინეტი კაპიტულიაციის, გერმანიის უცხო ძალისათვის დამონებისა და დაჩაგვრის—ასეთია ახალი მთავრობა გერმანიის, რომელსაც ამ შვენებენ იქაური მენშევიკური პარტიის ცნობილი მოღვაწეები. არა ნაკლებ სახარბიელო, არამედ უარესია პერსპექტივები მიმდინარე ფინანსიურ-ეკონომიურ კრიზისის გადაჭრის სფეროში, იმ კრიზისის, რომელიც არის უშუალო შედეგი მილიონიან მასების ამოძრავებისა და ბრძოლის, არსებობისათვის მინიმალურათ ნორმალური პირობების შესაქმნელათ. საკონტრიბუციო ვალდებულებათა გასწორების საკითხში ახლათ გადამდგარი მთავრობის პოლიტიკის ძირითადი დებულება მდგომარეობდა იმაში, რომ მთელი სიმძიმე, ან თითქმის მთელი სიმძიმე, იმ ხარჯების, რომელიც დააწვა დამარცხებულ ქვეყანას ვერსალის ხელშეკრულების შედეგათ, შედებულია მშრომელთა ზურგზე. შრომამ უნდა იკისროს, თავის ხელფასიდან გაიღოს ოქროს მარკების ის მილიარდები და, უკანასკნელ ანგარიშით, ის ნატურალური გადასახადებიც, რომელმაც უნდა ამოავსოს დაღებული ხახა საფრანგეთისა და მის მოკავშირეთა იმპერიალისტური ვეშაპების. ეგრედ წოდებული „რეალური ღირებულებანი“ კი ბურჟუაზიის, ზედმეტი ღირებულება, რომელსაც ჩაფრენია გერმანიის ბურჟუაზია, კაპიტალი ამ ბურჟუაზიის, უნდა დარჩეს ხელშეუხლებელი.

როდესაც კომუნისტურმა პარტიამ წამოაყენა თავისი უმთავრესი მოთხოვნილება ამ საკითხში, მოთხოვნილება, რომელიც წარმოადგენს გულისნადებსა და სურვილს მშრომელთა გერმანიისას: კონფისკაცია ამ ღირებულებათა — ასე ვსთქვათ ქვა ისროლა და მას თავი შეუშვირა არა მარტო ბურჟუაზიამ, არამედ ისეთმა „რეალურმა პოლიტიკოსებმა“, როგორიც არიან გერმანიის მენშევიკები. ეს მათ „კომფანტაზიათ“ გამოაცხადეს. ხსნა კი სწორეთ ამაში იყო და არის დღესაც; ამას მოითხოვს ყველა ის, ვინც მოწადინებული არ არის გერმანიის მუშათა კლასის ფიზიკურ განადგურებას, ამას მოითხოვს, ვიმეორებთ, გერმანის რევოლიუციონური პროლეტარიატი და მისი ხელმძღვანელი ორგანიზაციები. ამის მაგიერ, ბურჟუაზიასთან შეთანხმების პლატფორმაში კოალიციის მონაწილე მენშევიკები მოითხოვენ ამ ღირებულებათა მხოლოთ დაბეგვრას...

ამნაირათ ყოველისფერი მუშების ხარჯზე, რაც შეიძლება ნაკლები მსხვერპლი მქონებელ კლასებისაგან—ასე ესმოდა „სამოქალაქო ზავის“ შენარჩუნება კუნოს, ამ გზით უნდა გადაერჩინა მას დამარცხებული გერმანია მეორე ნაპირზე. როგორია ამ მხრივ პოლიტიკა ახალი კოალიციონური კაბინეტის.

ის არის არსებითად ძველი.

ცხადია კრიზისის უმთავრესი მიზეზი გარდაუვალი დარჩა შტრაიზემან-ჰილფერდინგის გერმანიაშიაც. ამიტომ, პირველ პოლიტიკურ ეფექტს შედგენილმა კოალიციამ კიდევაც რომ მიაღწიოს, კიდევაც რომ მოახერხოს მან ის, რასაც რევოლიუციონური კრიზისების დროს მიზნათ ისახავს ასეთი კოალიცია: შენელება მოძრაობის—ეს იქნება მხოლოთ დროებით დაგვიანება იმ „მეცხრე ტალღის“, რომელიც ქვეყნის მხსნელათ უნდა მოედოს ცენტრალურ ევროპას და „მონათლოს“ ის.

ამ „მეცხრე ტალღის“ მოლოდინში გერმანიის პროლეტარიატიც მისი ღირსეული ხელმძღვანელია გერმანიის სექცია კომინტერნის, რომელიც ამზადებს ამისთვის ძალებს და სწორეთ ასეთი პერსპექტივის მოლოდინში რჩება ეს ქვეყანა, დღეს იქ შემდგარი კოალიციონური მთავრობის მმართველობის ქვეშაც.

მუშათა სასამართლოები საქართველოში

საქართველოს გასაბჭოებამ, შეიტანა რა ძირითადი ცვლილება პოლიტიკურ ეკონომიურ ურთიერთობაში, რომელიც არსებობდა 1921 წ. თებერვლის 25-მდე, თავისი გავლენა მოახდინა აგრეთვე სასამართლოს სფეროშიაც. მაგრამ მიუხედავად რეფორმებისა ამ დარგში, მისი სისტემის შეცვლისა, ძველი არსი მისი მაინც რჩებოდა ფაქტიურათ. მენშევიკების დროის მომრიგებელ მოსამართლეთა ძველი შემადგენლობა სახალხო მოსამართლეთა სამოსელში ჰქმნიდა მაინც თავის „მართლ-მსაჯულებას“. ძველ მოსამართლეთა შეხედულება უფლებაზე, სახელმწიფოზე და სასამართლზე რჩებოდა იგივე, რაც წინად: თავიანთ განაჩენებში ისინი ხელმძღვანელობდენ იმავე პრინციპებით, რომელიც შეითვისეს ოც-ოცდა ათი წლის წინად უნივერსიტეტებში და მეფის სასამართლოების პრაქტიკაში.

ცნობილია, რომ კანონმდებლობა და სასამართლო უკან მისჩანჩალებენ ცხოვრებას და ვერ გამოხატავენ მის განვითარებას. ამიტომ პოლიტიკა ყველა სახელმწიფოსი მიმართულია სასამართლოს ცხოვრებასთან დაახლოვებისაკენ. ვერც ჩვენ ჩამოვრჩებით ამ მიმდინარეობას და ჩვენი სასამართლოებიც უნდა ცხოვრებას დაუახლოვოთ. ნამდვილათ კი, მიუხედავად ჩვენი ცხოვრების და კერძოთ უფლებრივი შეხედულების ძირითადი ცვლილებისა გასაბჭოების შემდეგ სახალხო სასამართლო ორი წლის განმავლობაში იყო კონსერვატიული, ძველი. საჭირო იყო ძველ მოსამართლეთა შემადგენლობის მოხსნა და მათ ადგილას ახლების დანიშვნა ხოლო ვის უნდა შეეცვალა ძველი მოსამართლენი თუ არა მუშებს და გლეხებს, რომელთაც ეკუთვნის ძალა-უფლება საბჭოთა სახელმწიფოში. ძველებმა ვერ შესძლეს ახალის შეთვისება ამ სფეროში. „უფლება არის რაღაც ობიექტიური“ — ამბობდენ ისინი — „სახელმწიფო არის კავშირი თავისუფალ პირთა, რომელნიც განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, ერთ ძალაუფლების ხელქვეითი არიან და სხვ.“ და რომ უფლება იცავდა ძველ წესრიგს, მემამულეთა და კაპიტალისტთა ინტერესებს, რომ სახელმწიფო იყო, არის კლასობრივი. ამას ვერ იგნებდენ ან არ იგნებდენ ჩვენი სპეც-იურისტები, ძველი მოსამართლეები.

კლასობრივი სასამართლოების, მუშათა და გლეხთა მოსამართლეების არსებობის საჭიროება ამ მშრომელთა ინტერესების დასაცავად იყო ნათელი და ამიტომ იუსტიციის სახალხო კომისარიატმა უყოყმანოთ მოხსნა ძველი მოსამართლენი მთელ საქართველოში და შესცვალა ისინი მუშურ გლეხური ელემენტებით.

არა ერთხელ თქმულა წინად და ეხლაც ბევრჯელ იმეორებენ, რომ ახალი მუშა-მოსამართლენი ვერ გაუძღვებიან საქმეს, რომ მათ არ აქვთ შესაფერისი მომზადება მოსამართლეების თანამდებობისათვის, რომ ძველი მოსამართლენი—იურისტები ჯერ სწავლობდენ გიმნაზია-უნივერსიტეტებში და შემდეგ უკვე ინიშნებოდნენ ამ თანამდებობაზე და სხვა და სხვ.

გამოსთქვამდნენ აგრეთვე აზრს, რომ ახალი მოსამართლენი, მუშაობასთან პრაქტიკულად გაცნობამდე, ვერ შესძლებენ მუშაობას როგორც ეს საჭიროა და რომ ეს ცუდათ იმოქმედებს მათ საქმეებზე.

ეს ყველაფერი ასეა, მაგრამ ეს მოსაზრებანი არაფერია მუშურ სახელმწიფოში მუშათა მოსამართლეების უყოლობის ფაქტთან შედარებით. ძველი მოსამართლეების დარჩენა თავიანთ ადგილზე მოგვიტანდა უფრო მეტ ზიანს, ვინემ ის, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს, პირველ ხანებში, საქმის წარმოების არა შესაფერისათ მსვლელობიდან.

რაც შეეხება მუშების უცოდინარობას სასამართლოს საქმეებში ამაზე შეიძლება უპასუხოთ, რომ საქმეების სწორ გადასაწყვეტად მუშა-მოსამართლეს არ სჭირდება უნივერსიტეტის სწავლა-განათლება. დიდი არაფერია, რომ მუშა მოსამართლეს არ წაუკითხავს ღრმა მეცნიერული ტრაქტატები. ამა თუ იმ სადავო საკითხის გადაწყვეტის დროს ის შეიძლება შესცდეს წვრილმანებში, დეტალებში, ხოლო საქმის არსში მას შეცდომა არ ექნება. ამის თავდებია ის ცხოვრების სკოლა, რომელიც ყოველ მუშა-მოსამართლემ საფუძვლიანად გაიარა, ის კლასობრივ ბრძოლა, რომელშიც მან თავი გაიკაჟა, და, ამიტომ, ის უფრო კარგად დაიცავს სასამართლოს სხდომაზე მუშათა და ღარიბთა ინტერესებს, ვიდრე სპეც-იურისტი.

უდავოა, რომ ჩვენ მოსამართლეებს არ აქვთ სპეციალური ცოდნა, რომელიც მათ გაუადვილებდა დაკისრებული ამოცანების გადაჭრას, მაგრამ ეს მალე გამოსწორდება მათთვის პირველ ხანებში მოკლე ვადიან იურიდიულ კურსების დაარსებით.

ასეც გადასჭრა ეს საკითხი საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარიატმა. მან დაარსა ოთხთვიანი იურიდიული კურსები სასამართლოს მუშაკთათვის, სახალხო მოსამართლეთათვის და სხვ.

მოკლე ხნის განმავლობაში—რამოდენიმე კვირაში გამომუშავებული იქნა ხარჯთ აღრიცხვა კურსებისა, გადაწყვეტილ იქნა მთელი რიგი სამეურნეო საკითხებისა, გამომუშავებული სასწავლო გეგმა, პროგრამა კურსებისა, მოწვეულ იქნა მასწავლებელთა პერსონალი და შემუშავებული პირობანი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს ყოველი კურსანტი.

ა/წ აპრილის 22 ტფილისში იუსტიციის სახალხო კომისარიატის შენობაში კომისარმა ამხ. ვარძიელმა, კურსების გახსნის დროს წარმოთქმულ სიტყვაში მიუთითა კურსანტებს იმ პრაქტიკულ მიზნებზე, რომელსაც კურსები ისახავენ და აღნიშნა, რომ 4 თვის განმავლობაში კურსანტებმა უნდა მიიღონ პრაქტიკული ცოდნა, რომელიც საჭიროა მათთვის მუშაობის დროს.

კურსებზე იკითხება თითქმის იგივე საგნები, რაც იურიდიულ ფაკულტეტზე უნივერსიტეტში: უფლების საერთო თეორია, საბჭოთა იუსტიციის ძირითადი პრინციპები, საქართველოს და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას კონსტიტუცია, კანონმდებლობა მუშაობის შესახებ, სამოქალაქო სამართალი და პროცესი, სისხლის სამართლის უფლება და პროცესი, თამასუქის და სადერბო დებულებანი.

მასწავლებელთა შემადგენლობაში არის უპარტიოთა ნაწილი, რომელიც სდგას საბჭოთა პლატფორმაზე.

საინტერესოა ცნობანი კურსანტების შედგენილობის შესახებ: ნამდვილი კურსანტი 48 კაცი. თავისუფალი მსმენელი 3 კაცი.

ეროვნებით კურსანტები ასე განიყოფებიან: ქართველი 37, სომეხი—10, ოსი 3 პოლონელი 1.

სოციალური მდგომარეობა: მუშა —17, გლეხი 20, მოსამსახურე—4, ინტელიგენტი—10.

სქესობრივად: მამაკაცი—46, დედაკაცი—5.

განათლებით: დაბალი 23, დაუსრულებელი საშუალო—19, საშუალო—9.

პარტიული შემადგენლობა: კომუნისტი—22, კანდიდატი პარტ.—2, უპარტიო—27.

წლოვანებით: ოც წლამდე—1, 20—25 წლამდე—12, 26—30—17, 31—35—11, 36-40-5, 41—45—2, 46 50—3.

გამოგზავნილი არიან: კომპარტიის ც. კ.—7, კომპარტიის ც. კ. ქალთა განყ.—5, მაზრის აღმასრ კომიტ.—17, სახალხო მოსამართლე—14, ამათ გარეშე მიღებულნი—8.

სწავლა კურსებზე მიდის ნორმალურათ. ყველა გაუგებარი საკითხები პოულობენ თავის განმარტებას, როგორც ლექციებზე, ისე პრაქტიკულ მეცადინეობის დროს, რომელიც სწარმოებს ქართულ და რუსულ ენაზე.

იუსტიციის სახ. კომისარიატის იურიდიული კურსები მოკლე მომავალში მისცემენ საქართველოს მუშებს და გლეხებს სახალხო მოსამართლეებს. წითელ იურისტების მომზადების გამოცდილება და პრაქტიკა უნდა გამოყენებულ იქნეს ჩვენ მიერ მომავალში, რათა შევქმნათ საკმაო კადრი არა მარტო სახალხო მოსამართლეებისა, არამედ სახალხო გამომძიებლებისა და პროკურატურის თანამშრომლების, რათა საბოლოოთ მოვაწყოთ და განვამტკიცოთ მუშურ-გლეხური სასამართლო საქართველოში.

ს. ტ.

იმპერიალისტური ყაჩაღები „მუშაობენ“

ცვლილება ინგლისის პოლიტიკაში.

ლოზანის კონფერენციის მუშაობა თავდებოდა. კონფლიქტი საფრანგეთის იმპერიალიზმისა და ოსმალეთის შორის ამ ქვეყნის დამორჩილების გამო იმუქრებოდა კვლავ გაებათილებია მთელი საზავო ხელშეკრულება იმ დროს, როდესაც დანიშნული იყო მასში მონაწილე სახელმწიფოების მიერ მისი ხელის მოწერის ვადა. მაგრამ შეთანხმება მაინც შესაძლებელი გახდა. კონფერენცია დამთავრდა ოსმალეთის გამარჯვებით მთავარ საკითხში. „ოსმალეთის ვალის“ („დეტ-პიუბლიკ“) კუპონებზე ფულის გადახდა მოხდება არა ოქროს ფრანკებით, როგორც ეს ფრანგებს სურდათ.

ეს იყო ძირითადი საკითხი, რადგანაც კონფერენციას რომ დაეკმაყოფილებია ფრანგების ეს მოთხოვნა ოსმალეთის ვალის ოქროს ანგარიშით გადახდის შესახებ, ოსმალეთის ფინანსიურ და, მაშასადამე, პოლიტიკურ და ეკონომიურ დამოუკიდებლობას ბოლო მოეღებოდა. მარტო ამ ვალის გადახდა ოქროთი შთანთქავდა ოსმალეთის მთელ სახელმწიფო შემოსავლის ერთ მესამედს. დანარჩენი ორი მესამედი დიდის გაჭირვებით დაფარავდა ოსმალეთის მიმდინარე ხარჯებს, ხოლო ახალ სესხების დაფარვაზე, რომლებიც აუცილებლათ საჭიროა ოსმალეთის ბუნებრივ სიმდიდრეთა ექსპლოატაციისათვის,—ლაპარაკიც შეუძლებელი იქნებოდა. ოსმალეთი ვერ შესძლებდა არსებობას მოკავშირეთა სურვილის გარეშე.

მაგრამ თუ ვალების გადახდის საკითხს უდიდესი მნიშვნელობა აქვს ოსმალეთისთვის, მას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, აგრეთვე, საფრანგეთისა და ინგლისის კაპიტალისტებისთვისაც, რომლებსაც ხელთ უჭირავთ ოსმალეთის სასესხო ვალდებულებები. ოსმალეთის გამოცხადება უსახსრო მოვალეთ საშუალებას მისცემდა მათ გამოეწურათ ოსმალეთისაგან ახალი შემოსავლიანი კონცესიები.

ამერიკის მონაწილეობა იმროკის დაპყრობაში.

მაგრამ რატომ დასთმეს ინგლის-საფრანგეთმა ასეთი ხელსაყრელი პოზიცია?

ამ ამოცანის გასაღები ამერიკაში უნდა ვეძიოთ. ამერიკამ, რომლის როლი ევროპაში დღითი დღე უფრო თვალსაჩინო ხდება, განაცხადა, რომ ის მიტომ არ ერევა ევროპის პოლიტიკაში, რათა უფრო მტკიცეთ დაიცვას თვით ევროპაში საკუთარ კაპიტალიზმის ინტერესები.

წინა აზიამ მომავალში უდიდესი როლი უნდა ითამაშოს საერთაშორისო ეკონომიკაში. შეერთებულმა შტატებმა, რომელსაც მალე უკვე არ ეყოფა ევროპის ბაზრები, შეიგნო, რომ მსოფლიოზე ბატონობის მოსამზადებლათ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს—მომავალ საერთაშორისო ეკონომიურ ცენტრების დაკავება. ამიტომაც არის, რომ შეერთებულმა შტატებმა ფეხი მოიკიდა ჩრდილოეთ აზიაში.

ანატოლია და სპარსეთი,—უახლოესი მიზანია, რომლისაკენ მიისწრაფვის შეერთებული შტატები. გასაგებია ამიტომ, რომ შეერთებულმა შტატებმა ყველაფერი მოიმოქმედა იმისთვის, რომ ინგლისსა და საფრანგეთს არ მოეპოვებიათ ოსმალეთში პრივილეგიური მდგომარეობა, რაც ამ ორ მეტოქეს შეეძლო მოეხერხებინათ ოსმალეთის ვალების ოქროს ანგარიშით გადახდის იძულებით. ამით აიხსნება სწრაფი გარდატეხა ინგლისის დიპლომატიაში. ინგლისმა მოულოდნელათ უარყო საფრანგეთისთვის მხარის დაჭერა ამ საკითხში. კერზონმა დააყენა პუანკარე შემდეგი დილემის წინაშე: ან დათმობა ოსმალეთისათვის და საზავო ხელშეკრულების დადება მასთან,—ან სამხედრო მოქმედებების განახლება. მაგრამ უკანასკნელ შემთხვევაში პუანკარეს საფრანგეთის ჯარების ამოძრავება მოუხდებოდა ინგლისის ჯარებისთვის დასახმარებლათ ჩანაკსა და კონსტანტინოპოლში. მაგრამ, ვინაიდან პუანკარეს არ შეეძლო გაეგზავნა საფრანგეთის ჯარები ახლო აღმოსავლეთში მხოლოთ იმ მიზნით, რომ ოსმალეთის კრედიტორების ინტერესები დაეცვა, ვინაიდან მას არ სურდა ამით თვითმკვლელობა ჩაედინა, მან დაუთმო ისმეტ-ფაშას და ამგვარათ ამერიკამ გაიმარჯვა.

მიზეზები ინგლისის აქტიური პოლიტიკის განახლებისა კონტინენტზე.

ინგლისის ეს პოლიტიკა, იმავე დროს მომხდარ რურის საკითხში პოზიციის შეცვლასთან ერთად, გულისხმობს სრულ გარდატეხას ინგლისის საგარეო პოლიტიკაში. ვერსალის მოლაპარაკების დროს ინგლისის და საფრანგეთის ბურჟუაზიის შორის ჩამოგდებული იყო შემდეგი ჩუმი შეთანხმება: საფრანგეთს ეძლევა ჰეგემონია ევროპაზე, მას შეუძლია იმოქმედოს როგორც სურს ცენტრალურ ევროპაში და, სამაგიეროთ, ინგლისი თავის განკარგულებაში იტოვებს „მთელს დანარჩენ მსოფლიოს“ და, განსაკუთრებით, ახლო-აღმოსავლეთს,—ამ კარს აზიისას.

მაგრამ ამ გეგმის განხორციელების დროს ინგლისი იმ თავითვე შეეჯახა ამერიკას, რომელიც ასე ივე პრეტენდენტი იყო „მთელს დანარჩენ მსოფლიოზე“. ეს მეტოქე მეტათ ძლიერია ინგლისისათვის. ინგლისმა გაიგო, რომ მან ხელი უნდა გაუხსნას შეერთებულ შტატებსაც. ამერიკის იმპერიალიზმი აწარმოებდა ფრიად აქტიურ პოლიტიკას მცირე აზიაში და თვით სპარსეთშიაც, სადაც ნავთის კომპანიამ „სტანდარტ ოილ“-მა მოახერხა უმთავრესი კონცესიის მოპოება კასპიის ზღვის ნაპირათ მთელი ნავთის ექსპლოატაციაზე. ამერიკელმა კაპიტალისტებმა გასცეს მთელი რიგი სესხებისა ისე, რომ ინგლისმა თვალის დახამხამებაც კი ვერ გაბედა.

იძულებულია რა ხელი აიღოს თავის მსოფლიო პოლიტიკაზე, ინგლისი კვლავ ევროპას უბრუნდება. მან კვლავ უნდა მოახერხოს ევროპაში გაფართოება, რომელიც იძულებული იყო ახლო აღმოსავლეთში ამერიკისთვის დაეთმო. იმ დროს, როდესაც ის სთმობს ოსმალეთის კრედიტის საკითხში, იგი ემზადება რურის საქმეებში ენერგიულ ჩარევისთვის. აღმოსავლეთზე ხელის აღებისათვის მადლობის ნიშნათ ინგლისი მოითხოვს ამერიკისაგან დახმარებას თავის ევროპიულ პოლიტიკაში.

1919 წ. ლოიდ-ჯორჯმა უთხრა კლემანსოს: „**მე გიტოვებთ თქვენ ევროპას,—დამიტოვეთ მე მხოლოთ მთელი დანარჩენი მსოფლიო**“-ო. დღეს კი ბალდვინი ეუბნება ამერიკას: „**მე გითმობთ თქვენ მთელს დანარჩენ მსოფლიოს, მხოლოთ თქვენ უნდა დამეხმაროთ რათა შევარყიო ევროპაში საფრანგეთის ძლიერება**“-ო.

ამგვარათ, იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის ბრძოლის და ცვალებად ურთიერთ-გავლენის შედეგათ მზადდება ახალი განწყობილება და იმავე დროს, სოციალურ ძალთა შეხლა-შემოხლა.

ლ. ლუზონ.

რადიო-ტელეგრამები

(„ზაქროსტას“ ცნობები)

გერმანიის ამბები

შტრეზემანის მთავრობა და პარტიები.

ბერლინი 15 აგვისტო შტრეზემანის მთავრობისათვის ნდობის გამოცხადების კენჭის ყრის წინ ფრაქციების ლიდერები გამოვიდენ მოკლე განცხადებებით. გერმანიის ნაციონალისტების სახელით, რომელნიც ოპოზიციონურად არიან განწყობილნი მთავრობისადმი, გამოვიდა გერდტი, რომელმაც აღნიშნა, რომ მთავრობას კრიზისი დაიწყო კომუნისტების ზეგავლენით და განიმეორა ნაციონალისტების მოთხოვნილება რურში წინააღმდეგობის აქტიურ ფორმების ხმარების შესახებ. გერდტმა აღნიშნა, რომ დიდი კოალიციის მთავრობის დროს გერმანიის ეკონომიური მდგომარეობა უარესდება

ტევტონის სახალხო თავისუფლების პარტიის სახელით გულლემ უწოდა შტრეზემანის კაბინეტს გარდამავალი საფეხური ახალ რევოლიუციაში.

კომუნისტმა ფრელიხმა დაუპირდაპირა მთავრობის მოთხოვნილებას ნდობის გამოცხადების შესახებ მის მუქარას, ყოველგვარი საშუალებანი მიმართოს მასების წინააღმდეგ, და აღნიშნა, რომ შტრეზემანი კიდევ იქნება მოწამე საყოველთაო გაფიცვის. ბრეიტშეიდმა ახსნა შექმნილი კოალიციის აუცილებლობა იმით, რომ შეუძლებელია გერმანიაში ახლო მომავალში მოეწყოს მუშათა და გლეხთა მთავრობა.

ნდობის გამოცხადებას ხმა მისცა 240, წინააღმდეგ 76 გერმანელმა ნაციონალისტმა და კომუნისტებმა, თავი შეიკავა ბავარიის გლეხთა კავშირის სახალხო პარტიის 25 წევრმა, 40 მემარცხენე სოციალ დემოკრატმა დარბაზი დასტოვა. რეიხსტაგმა მიიღო მთავრობის კანონპროექტი ოქროს სესხის შესახებ, რომელზედაც ხელის მოწერა დღეს დაიწყება.

ახალი მთავრობის პირველი ნაბიჯი.

ბერლინი. 15 აგვისტო. 20 აგვისტოდან რკინის-გზებზე სამგზავრო ტარიფი 10 ჯერ იქნა გადიდებული, საქონლის გადაზიდვის კი 20-ჯერ.

სექტემბრიდან შემოღებული იქნება ტარიფების ინდექსი მტკიცე ვალუტით; ამასთანავე ტვირთების გადაზიდვის კოეფიციენტად მიღებულ იქნა 1,200,000 რომელიც ეთანხმება 5 მილიონი დოლარის კურსს. თუმცა დღეს დოლარი ფასობს 2,300,000. რკინის გზის ტარიფის პირველი გადიდება მოხდა 1 აგვისტოს სექტემბრიდან ფრახტის ღირებულება ორჯერ მეტია ომამდე არსებულ ფრახტთან შედარებით, რაც ძალიან დიდ გავლენას მოახდენს საქონლის ფასებზე.

გაფიცვები.

ბერლინი 17 აგვისტო. ჰამბურგში ვერფების მუშები განაგრძობენ გაფიცვას. მუშაობა განაახლეს მხოლოდ მტვირთავებმა. შტეტინში გაფიცული არიან ყველა მუშები ნავთსადგურში და ვერფებში

ბერლინში.

ბერლინი. 17 აგვისტო. ბერლინში პურის ფასი არ დაცემულა. ოფიციალური ცნობებით ცხოვრების გაძვირება ბერლინში 15 აგვისტოს 473,000-ჯერ აღემატება ომამდე არსებულ ნორმას.

საალყო წესები.

ბერლინი. 17 აგვისტო. აახენში გამოცხადებულია საალყო წესები. საღამოს 9 საათიდან აღკრძალულია ყოველგვარი მოძრაობა ქუჩაში.

საქსონიაში მღელვარებაა.

ბერლინი. 17 აგვისტო. საქსონიიდან კვლავ მოდის ცნობები მღელვარების შესახებ.

მუშების ეშინიათ

ბერლინი. 15 აგვისტო. საქსონიის ზოგიერთ ქალაქებში მწარმოებლები მუშების ზეგავლენით დათანხმდენ გაუთანასწორონ შრომის ხელფასი ომამდის არსებულ ხელფასს. გერმანიის ბურჟუაზიას ეშინია, რომ ეს ღონისძიება მთელს გერმანიაში არ გავრცელდეს და ამიტომ მოითხოვს საქსონიის მთავრობის ჩარევას. დღეს ბერლინში ჩამოვიდა საქსონიის ეკონომიურ კავშირების დელეგაცია; დელეგაცია მიიღო შტრეზემანმა. არსებულ ცნობების მიხედვით შტრეზემანმა მოისმინა საჩივარი და იმ წამსვე მოიწვია კაბინეტის სხდომა.

საფრანგეთის გაზეთების აზრი გერმანიის კომუნისტურ მოძრაობის შესახებ

პარიჟი. 15 აგვისტო. საფრანგეთის ბურჟუაზიული გაზეთების აზრით, გერმანიაში კომუნისტური მოძრაობა დამარცხდება, რადგან მთავრობა შედგენილია სოციალ-დემოკრატებისა და ბურჟუაზიის მიერ. მაგრამ რევოლიუციონური მოძრაობა განახლდება, თუ შტრეზემანმა ვერ შესძლო სურსათ-სანოვაგის საკითხის მოგვარება და ხელფასის დამყარება მაგარ ვალიუტაზე. ბურჟუაზიულ გაზეთებს იმედი აქვთ, რომ შტრეზემანი ინგლისის იმედზე არ დაემყარება და შეეცდება საფრანგეთთან დაახლოვებას.

„ტან“-ი საფრანგეთის მთავრობას ურჩევს მხარი დაუჭიროს სეპარატისტულ მოძრაობას პრუსიის წინააღმდეგ, ომის თავიდან ასაცილებლად.

„ლ'უმანიტე“ საფრანგეთის პროლეტარიატს ავალებს პუანკარეს დამხობას, გერმანიის კომუნისტებისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

გერმანიის კომუნისტური პარტიის ც. კ. პლენუმი

დღის წესრიგი.

ბერლინი. 5 და 6 აგვისტოს ბერლინში შესდგა გერმანიის კომპარტიის ცკას გაფართოებული პლენუმი, რომელზედაც ირჩეოდა შემდეგი საკითხები: 1) კომინტერნის გაფართოებული პლენუმის ანგარიში; 2) კომპარტიის მდგომარეობა საფრანგეთში; 3) გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობა; 4) კომუნისტური პარტიის ამოცანები.

კამათი კომინტერნის გაფართოებული პლენუმის შესახებ.

გაფართოებული პლენუმის შესახებ ბეტხერის მიერ წარმოდგენილი ანგარიშის გამო გამართულ კამათის დროს, რომელშიაც უმთავრეს ყურადღებას იქცევდა კომინტერნის აღმასკომის წერილი გერმანიის პარტიისადმი, განსაკუთრებული ყურადღებით იქნა განხილული კრიტიკა გერმანიის პარტიის არა საკმაოდ ნათელი ტაქტიკისა საქსონიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული მთავრობის მიმართ.

საფრანგეთის კომპარტიის მდგომარეობა.

მოხსენებაში საფრანგეთის კომპარტიის მდგომარეობის შესახებ, პარიზიდან დაბრუნებულმა მეიერმა დახასიათა საფრანგეთის საერთო ეკონომიური მდგომარეობა და აღნიშნა, რომ საფრანგეთის კომპარტიის მუშაობის შეფასების დროს არ უნდა დავივიწყოთ ის, რომ საფრანგეთის პროლეტარიატის მდგომარეობა ეკონომიურად ეხლა უკეთესია, ვინემ ომამდე და ომის დროს იყო. ეს მიღწეულ წარმოებას უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს, ვინემ ეს გვეჩვენება პირველ შეხედვით. მეიერის ანგარიში შევსებული იყო ტრეინის მიერ, რომელმაც მიუთითა საფრანკეთის პარტიაში შექმნილ დაბრკოლებაზე, რომელიც შედეგია ამას წინად არსებული კრიზისისა (ფროსარის ჯგუფის მოსვლა) და მისი დაუმთავრებელი ორგანიზაციის.

„გერმანია შევიდა სამოქალაქო ომის პერიოდში“.

მოხსენებაში გერმანიის მდგომარეობის და კომპარტიის ამოცანების შესახებ ბრანდლერმა აღნიშნა გერმანიის პოლიტიკური მდგომარეობის არაჩვეულებრივი სიმწვავე. „**ჩვენ სამოქალაქო ომის წინაშე ვდგევართ, ჩვენ შევედით სამოქალაქო ომის პერიოდში. მომენტის მთავარი ამოცანაა პროლეტარიატის და ყველა მშრომელების ძლიერი კავშირის შექმნა.** მუშათა და გლეხთა მთავრობის ლოზუნგი საუკეთესო საშუალებაა ამ ამოცანის გადასაჭრელად“. ბრანდლერი ეთანხმება კომინტერნის აღმასკომის დასკვნებს და ფიქრებს, რომ საქსონიის მემარცხენე სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას ცდამ ძლიერ შეუწყო ხელი სოციალ-დემოკრატიის გახრწნას. დაუპირისპირა რა ცეკას თეზისები ბერლინის ორგანიზაციის თეზისებს, ბრანდლერმა გაილაშქრა იმ დებულების წინააღმდეგ, რომ მუშურ-გლეხური მთავრობა გერმანიაში გახდა გამოუსადეგი ეტაპი და რომ პარტიის უახლოესი ხანაა პროლეტარიატის დიქტატურა. ბრანდლერის აზრით, საკითხის ასე დასმა საფრთხეს წარმოადგენს პარტიისათვის და ემუქრება მას იზოლიაციით არა პროლეტარულ მშრომელ მასებისაგან.

ამხ. რუტა ფიშერის სიტყვა.

გაილაშქრა რა ბრანდლერის წინააღმდეგ, რუტა ფიშერმა აღნიშნა, რომ თვით არა პროლეტარულ მასებმაც საკმაოდ დაჰკარგეს დემოკრატიის იმედი და მათშიაც არის მოთხოვნილება „ძლიერი კაცის“ დიქტატურაზე. ფიშერი ამტკიცებდა, რომ ამჟამად აშკარა ლოზუნგი დიქტატურისა უფრო გასაგებია ამ მასებისათვის, რომელთაც უნდა აუხსნათ, რომ პროლეტარიატი არის „ძლიერი კაცი“, რომელსაც შეუძლია მათი ხსნა. გააკრიტიკა რა საქსონიის პარტიის ტაქტიკა, მან განაცხადა, რომ ამ ტაქტიკამ გააძლიერა მემარცხენე სოციალ-დემოკრატია: მელითონეთა კავშირში მომხდარმა არჩევნებმა დაამტკიცეს, რომ საქსონია იყო ერთად ერთი ოლქი, სადაც სოციალ-დემოკრატიამ შესძლო პოზიციის შენარჩუნება

გერმანიის კომპარტიაში სრული მთლიანობაა.

ხანგრძლივი კამათის შემდეგ გამოირკვა, რომ კომინტერნის აღმასკომის წერილის დასკვნას ეთანხმება ორივე მხარე. საბოლოო სიტყვაში ბრანდლერმა აღნიშნა, რომ უმრავლესობის და აგრეთვე ოპოზიციის შეხედულებები ერთი მეორეს დაუახლოვდენ ისე, როგორც არც ერთ პარტიულ საბჭოს სხდომაზე, დაწყებული ლეიპციგის ყრილობიდან.

ცეკას თეზისები მიღებულია 45 ხმით, თავი შეიკავა 9 კაცმა.

ს. ს. რ. კ. ცნობის გარშემო

სენატორ დემონზის გამომგზავრება რუსეთში.

ვენა. 14 აგვისტო. სენატორმა დემონზიმ, ბუდაპეშტზე გავლის დროს, ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მისი გამგზავრებას რუსეთში ოფიციალური ხასიათი არა აქვს ისევე, როგორც ანგორაში ფრანკლინ ბუიონის გამგზავრებას. ამ მოგზაურობის მიზანია გამორკვეს, თუ რამდენად შესაძლებელია მკვიდრი ურთიერთობისათვის ნიადაგის შექმნა

„რუსეთ-ნორვეგიის საზოგადოება“.

ქრისტიანია. 13 აგვისტო. ქრისტიანიაში დაარსდა „რუსეთ-ნორვეგიის საზოგადოება“, რომლის ძირითადი თანხა 300,000 გირვ. სტერლინგს უდრის. საზოგადოებას მიზნად დაუსახავს ონეგის ტყეების ექსპლოატაცია, საკონცესიო ხელშეკრულების საფუძველზე.

„შეერთებულმა შტატებმა უნდა იცნონ ს. ს. რ. კავშირი“.

ნიუ-იორკი 14 აგვისტო. შტატ მინესოტის სენატორმა და ფერმერების პარტიის წევრმა შიპსტედმა ვაშინგტონის გაზეთების წარმომადგენლებთან საუბარში განაცხადა, რომ შეერთებულმა შტატებმა უნდა იცნონ საბჭოთა მთავრობა, რადგან რუსეთის ხალხი კმაყოფილია მმართველობის ფორმით რუსეთში.

რუსეთ-ლატვიის ურთიერთობა უმჯობესდება.

რიგა. 14 აგვისტო. „იაუნახას ზინას“-ში მოთავსებულია საუბარი ამხ. რაკოვსკისთან, რომელსაც განუცხადებია, რომ რუსეთ ლატვიის ურთიერთობა თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა, განსაკუთრებით საკავშირო რესპუბლიკების დაარსების გამო. რუსეთ-ლატვიის თანამშრომლობას მკვიდრი საძირკველი აქვს. მორიგ საკითხად სდგას სავაჭრო ხელშეკრულების დადება და ლიბავის რკინის გზის გაფართოვება.

რუსეთ-შვეციის სავაჭრო საზოგადოება.

სტოკჰოლმი. 14 აგვისტო. დაარსდა რუსეთ-შვეციის სავაჭრო საზოგადოება, რომლის ძირითადი თანხა 1.300.000 კრონს უდრის. გამგეობაში შედიან: ფინანსიური მრჩეველი კლოკხოვი, კონსული სტარკი და სხვანი.

სამხრეთ-სლავიის დამოკიდებულება რუსეთთან.

ვენა. 16 აგვისტო. სერბიის მოსკოვის ყოფ. წარმომადგენლობის საქმეთა მმართველი, რადოსლავ ივანოვიჩი, სამხრეთ სლავიის მთავრობის მიპატიჟებით ჩავიდა ბელგრადში, რუსეთთან დამოკიდებულების საკითხის გამოსარკვევათ.

რუსეთ-რუმინეთის კონფერენცია

ტირასპოლი. 14 აგვისლო. რუსეთ-რუმინეთის კონფერენციის მეორე სხდომაზე რუსეთის დელეგაციის მიერ წარდგენილი თეზისები პრინციპიალურათ მოწონებულ იქნა. რუსეთ-რუმინეთის მოსაზღვრე კომისიის მუშაობა დროებით დასრულებულია. განზრახულია ექსპერტების შერეულ კომისიის დაარსება იმ მიზნით, რომ გამორკვეულ იქნეს მუდმივ გემების რაოდენობა მდ. დნესტრზე.

პრესა მოლაპარაკების შესახებ.

ვენა. 16 აგვისტო. რუმინეთის პრესა თვალყურს ადევნებს რუსეთ-რუმინეთის მოლაპარაკების მსვლელობას და იმედი აქვს, რომ მოლაპარაკების დადებითად დამთავრება ხელს შეუწყობს რუმინეთიდან რუსეთში გასატან საქონლის რაოდენობის გადიდებას. „ადევერულ“-ის ცნობებით, მოლაპარაკება დაიწყო რუმინეთის ინიციატივით, ბესარაბიაში მძიმე ეკონომიურ მდგომარეობის შექმნის გამო. რუმინეთის მთავრობა სცდილობს მიაღწიოს ბესარაბიის ხორბალის დნესტრით რენიმდის გაგზავნის შესაძლებლობას. გაზეთს აუცილებლათ მიაჩნია ახალი დელეგაციის გაგზავნა რუსეთთან სავაჭრო ხელშეკრულების დასადებათ, რადგან ხელშეკრულების გარეშე რუმინეთი მოწყვეტილი იქნება რუსეთის ბაზარს.

რუსეთი და იტალია.

რომი. 15 აგვისტო. მუსოლინისათვის რწმუნების სიგელების ჩაბარების

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს, ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა იორდანსკიმ იმედი გამოსთქვა, რომ იტალია, მიუხედავათ წინასწარ შემუშავებულ რწმენისა საბჭოთა რევოლუციაზე, გამონახავს გზებს ს. ს. რ. კ. დასაახლოვებლათ, რაც ორივე სახელმწიფოსათვის სასარგებლო იქნება. თავის მხრივ, მუსოლინიმ განაცხადა, რომ იტალიის მთავრობა თანახმაა დაამთავროს მოლაპარაკება რუსეთთან დამოკიდებულების აღდგენის შესახებ, და აღნიშნა, რომ სასურველია ორივე სახელმწიფოს შორის სავაჭრო დამოკიდებულებათა ჩქარი განვითარებაო. მიღების შემდეგ სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა რ. ს. ფ. ს. რ. უკრაინისა და საქართველოს სახელით ხელი მოაწერა ლოზანას კონფერენციის კონვენციას სრუტეების შესახებ. კონვენცია ძალაში შედის პარიზში რატიფიკაციის შემდეგ.

ს. ს. რ. კ. და ჩინეთი

ამხ. კარახანის შეხვედრა.

ხარბინი. 13 აგვისტო. თუმცა ძალიან ადრე იყო, მაგრამ სადგურზე ამხ. კარახანს შეეგებნენ პროფკავშ. კომუნ. ახალგაზრდობის კავშირის წარმომადგენლები და მუშები წითელი ბაირაღებითა და პლაკატებით. ჩინეთის მთავრობა მიესალმა რუსეთის წარმომადგენელს ხარბინისა და მუკდენის დელეგაციების სახით, რომელსაც თან მოჰყვა საპატიო ყარაული. ბანკეტზე წარმოთქმულ სიტყვებში სურვილი იყო გამოთქმული, რაც შეიძლება მალე გადასწყდეს აღმოსავლეთ ჩინეთის რკ.-ნის გზის საკითხი. მუშების ორკესტრი უკრავდა „ინტერნაციონალს". ამხ. კარახან საზეიმო შეხვედრას უმართავდენ ყოველ სადგურზე.

საბჭოთა კავშირი და ინგლისი

ინგლისის მრეწველების დელეგაცია მოსკოვში.

რიგა. 13 აგვისტო. გუშინ ბალდვინმა (პრემიერის ბიძაშვილი, მსხვილი მრეწველი), მარშალმა და ინგლისის მრეწველების დელეგაციის სხვა წარმომადგენლებმა ინახულეს ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი არალოვი და გამოემგზავრენ მოსკოვში; დელეგაცია შესდგება 10 კაცისაგან; არალოვს დელეგატებმა განუცხადეს, რომ მათი რუსეთში გამგზავრების მიზანია — რუსეთის მდგომარეობასთან გაცნობა. ფიქრობენ რა, რომ რუსეთთან მუშაობა სავსებით შესაძლებელია, მასში წესრიგისა და დისციპლინის დამყარების გამო, ინგლისელები ხაზს უსვამენ იმ გარემოებას, რომ რუსეთის მთავრობა ხნიერების მხრივ ევროპაში არსებულ ყველა მთავრობებზე ძველია.

ინგლისის მრეწველების განცხადებით, იმ შემთხვევაში თუ რუსეთი იცნობს ძველ ვალებს, მაშინ ინგლისი გაუხსნის მას კრედიტს. იმედი აქვთ რა შემდეგი საერთო მუშაობის წარმატების, ინგლისელები ფიქრობენ, რომ ის ნიადაგს მოამზადებს საბჭოთა რუსეთის დეიურე ცნობისათვის.

საბჭოთა კავშირი და სპარსეთი

სპარსეთის ვაჭრების ამნისტიის გამო.

ბაქო. 15 აგვისტო. ს. ს. რ. კ. სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სპარსეთში ამხ. შუმიაცკიმ მიიღო სპარსეთის პრემიერ მინისტრისაგან წერილი სპარსეთის ვაჭრების განთავისუფლების შესახებ, რომელთაც ბაქოში კონტრაბანდის საქმის გამო, მისჯილი ჰქონდათ დაპატიმრება. წერილში სხვათა შორის ნათქვამია, რომ მინისტრისათვის ძლიერ სასიხარულო იყო ეს აქტი, რაც მოწმობს გულწრფელობას და მეგობრულ კავშირის განტკიცებას რუსეთსა და სპარსეთს შორის და სთხოვს ამხ. შუმიაცკის მიიღოს განსაკუთრებული მადლობა და აცნობოს ამის შესახებ ს. ს. რ. კ. მთავრობას.

საკონტრიბუციო საკითხი

რურის ოკუპაცია გავლენას ახდენს მთელ მსოფლიოზე.

ლონდონი. 17 აგვისტო. ბრიტანეთის ნოტის განცხადება იმის შესახებ, რომ რურის ოკუპაცია ახდენს უშუალო და არაპირდაპირ გავლენას მთელი მსოფლიოის ეკონომიურ და სამრეწველო მდგომარეობაზე, დღითი-დღე პოულობს დადასტურებას ყოველ კუთხიდან მოსულ ცნობებში. კანადა და შეერთებული შტატები შეშფოთებული არიან მათი ნაწარმოების მნიშვნელოვან ბაზრების დაკარგვით. ტორონტოს (კანადა) გაზეთი „მელ ნიუზი" ამბობს, რომ ევროპაში შექმნილმა მდგომარეობამ ძალიან ცუდი გავლენა მოახდინა კანადას საქმეებზე: შევიწროებული არიან ფერმერები, მრეწველები, განსაკუთრებით, ფართლეულობის დამმზადებელი ფაბრიკანტები, უმუშევრობა იზრდება. გაზ. „ტაიმსი" ბირჟის განყოფილებაში აღნიშნავს რურის ოკუპაციის გავლენას დასავლეთ აფრიკასა და ინდოეთზე. გასული წლის ბოლომდე გერმანია ნედლი მასალის და დასავლეთ—აფრიკის ნაწარმოების უდიდეს ნაწილს ინდოეთში იძენდა. დასავლეთ-აფრიკის პროდუქტებზე მოთხოვნილობა ამ ჟამად სრულიად მოისპო. ინდოეთის ნედლი მასალის გასაღება მნიშვნელოვნად შემცირდა. რურის ოკუპაციის საერთო გავლენა მსოფლიო ვაჭრობაზე, „ტაიმსის" განცხადებით, იმ ეტაპამდე მივიდა, რომ საჭირო გახდა გადაისინჯოს საკითხი ოკუპაციისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

ინგლისი და [illegible]...

პარიზი. 17 აგვისტო. ლონდონის გაზეთი „ივნინგ ნიუზი" სწერს: „ჩვენ გვაქვს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ინგლისი მიიღებს პუანკარესაგან მეგობრულ პასუხს. ამ შემთხვევაში დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ბრიტანეთის მთავრობა არ ჩააყენებს საკითხს რურის ოკუპაციის კანონიერების შესახებ. მთავრობა, უეჭველია, ინანებს, რომ მან საკითხი დააყენა იმ ფორმით, რომელიც გამოხატულია უკანასკნელ ნოტაში.

ოკუპაცია არ არის კანონიერი.

ბერლინი. 17 აგვისტო. ლონდონის გაზეთებმა გამოაქვეყნეს ოფიციალური ცნობა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ბრიტანეთის მთავრობა გადაჭრით აღნიშნავს რურის ოკუპაციის უკანონობას. ამას განსაკუთრებით ადგილი ჰქონდა ლორდ კერზონის უკანასკნელი თათბირის დროს საფრანგეთის ელჩთან ლონდონში.

ვატიკანი და ბრიტანეთის ნოტა.

ბერლინი. 17 აგვისტო. რომიდან იტყობინებიან, რომ ვატიკანმა დიდი კმაყოფილებით მიიღო ბრიტანეთის ნოტა რურის შესახებ.

ინგლისის ნოტის გარშემო.

პარიზი. 16 აგვისტო. საფრანგეთის პრესა, მემარცხენეს გამოკლებით, მტრულათ არის განწყობილი ინგლისის ნოტის მიმართ. ჟურნალ „დე დება"-ს აზრით, იმ შემთხვევაში თუ საფრანგეთის მთავრობა მიიღებს ინგლისის ნოტას, მაშინ დამარცხებულ მხარეთ ომში აღმოჩნდება საფრანგეთი. ნაციონალისტური პრესა მოითხოვს განხეთქილებას, ზოგიერთ პრესას იმედი აქვს, რომ საკითხი დადებითათ გადაწყდება.

მემარცხენე პრესა უარყოფს ინგლისის წინადადებებს და ნაწილობრივ პასუხისმგებლობას აკისრებს პუანკარეს, რომელიც თავდაცვის პოზიციას ადგია და ამით საშუალება მისცა ინგლისს დაესწრო საფრანგეთისათვის განსაზღვრული გეგმის წარმოდგენა. მთელი პრესა ინგლისის ნოტის სუსტ ადგილათ სთვლის—საყვედურს, რომელიც მიმართულია საფრანგეთისადმი რურის ოკუპაციისათვის, თუმცა ინგლისის მთავრობამ წინანდელ დოკუმენტებში თანხმობა განაცხადა ამ ოკუპაციაზე.

პრესის აზრით, პუნკარე არ გამოიწვევს კონფლიქტს და შემარიგებელ ხასიათის პასუხს გასცემს ინგლისს ერთი კვირის განმავლობაში.

ოკუპაციის გარშემო

რურში მღელვარება გრძელდება.

ბერლინი. 15 აგვისტო. გერმანიიდან მიღებულ ცნობებით, დიუსელდორფის ქარხნებში მუშაობა წესიერად სწარმოებს. ტისსენის ქარხნებში გაფიცულია 24,000 კაცი. სხვა ქარხნებში იტალიური გაფიცვა გრძელდება. მდგომარეობას ართულებს ფულის ნიშნების სიმცირე. ელენდორფში მოჰკლეს 2 პოლიციელი და 10-დე მანიფესტანტი.

საზღვრები დაკეტილი რჩება

ბერლინი. 17 აგვისტო. მიუხედავათ პირველი გადაწყვეტილებისა, რომლითაც დღეს გახსნილი უნდა ყოფილიყო საზღვრები დაკავებული რაიონების და გერმანიას შორის, რეინლანდის კომის-ამ დადგინა — დასტოვოს საზღვრები დაკეტილი.

ისევ დაპატიმრებანი

ბერლინი. 17 აგვისტო. ბელგიელებმა დააპატიმრეს დაახლოვებით 15 კაცი, რომელთაც ბრალს სდებენ საბოტაჟში. მათ შორის არის ინჟინერი მ ნცელი. მოელიან ახალ დაპატიმრებებს.

სეიფების გახსნა

ბერლინი. 17 აგვისტო. ესსენში რეიხსბანკის განყოფილების ხუთი კვირით უშედეგოდ დაკავების შემდეგ, ფრანგები შეუდგენ სეიფების გახსნას.

ჩინეთი

მოკავშირეთა ნოტა.

პეკინი. 16 აგვისტო. ამერიკა, იაპონია, ინგლისი და საფრანგეთი კოლექტიურ ნოტაში, რომელიც გაგზავნა ჩინეთის მთავრობას, მოითხოვენ სასწრაფო ზომების მიღებას უცხოელების საკუთრების და პირადი უშიშროების დასაცავად, აცხადებენ რა, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი თვითონ იზრუნებენ ამაზეო. ჩინეთის საზოგადოებრივი აზრი ლინჩაკის ინციდენტის გამო სახელმწიფოების წინანდელ ნოტაში ხედავს ჩინეთის შინაურ საქმეებში ჩარევას და აღნიშნავს, რომ ნამდვილი დამნაშავენი, როგორც ცაოკუნი, უყურადღებოთ იქნა დატოვებული სახელმწიფოების მიერ. იგივე სახელმწიფოები მეორე ნოტაში მოითხოვენ ჩინეთის მიერ ვაშინგტონის კონფერენციის დადგენილებათა შესრულებას აღმოსავლეთ ჩინეთის რკინის გზების შესახებ.

„ნოტა არღვევს ჩინეთის უფლებებს".

პეკინი. 15 აგვისტო. გაზ. „ნორდ ჩაინა სტანდარტ"-ი, კომენტარებს უკეთებს რა რკინის გზების დაცვის ღონისძიებებს, აღნიშნავს რომ ნოტა აშკარად არღვევს ჩინეთის სუვერენულ უფლებებს და დასცინის უცხოელ ოფიცრების მოწვევას, რაც ვერ დაიცავს რკინის გზებს ბანდიტიზმისაგან.

ახლო აღმოსავლეთში

სპარსეთი

დემონსტრაციები ინგლისელების წინააღმდეგ

თეირანი. 10 აგვისტო. აგვისტოს 10-ს თეირანსა და მის გარეუბნებში გრანდიოზული დემონსტრაციები გაიმართა ინგლისის წინააღმდეგ, რომელშიაც მონაწილეობას ღებულობდა 20 000 კაცი დროშებით.

ოსმალეთი

ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების გახსნა.

ანგორა. 13 აგვისტო. 11 აგვისტოს მოხდა ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების საზეიმო გახსნა. დეპუტატებმა ერთგულების ფიცი დასდეს ხალხის წინაშე. დეპუტატების დიდ უმეტესობას შეადგენენ სახალხო პარტიის წევრები.

ისმეტ-ფაშის ჩამოსვლა.

ანგორა 13 აგვისტო. დღეს ანგორაში ჩამოვიდენ ისმეტ-ფაშა და რიზა ნური ბეი, რომელთაც სადგურზე მიეგებენ: ქემალი, საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი წარმომადგენელი, ჯარები და მრავალრიცხოვანი ხალხი.

ქემალი ოსმალეთის დიდ ეროვნულ კრების თავმჯდომარეა.

ბერლინი. 15 აგვისტო. ოსმალეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარედ კვლავ არჩეულია მუსტაფა ქემალი ვიცე-თავმჯდომარედ არჩეული არიან ისმეტ ფაშა და სობრი ბეი.

ანგორა. 13 აგვისტო. 12 აგვისტოს ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაამტკიცა ყველა დეპუტატების არჩევის ოქმები.

სტამბოლში შესვლის პირობები.

პარიზი „ტან"-ის სტამბოლელი კორესპოდენტი იტყობინება, რომ ანგორის მთავრობამ აცნობა თავის ოფიციალურ წარმომადგენელს სტამბოლში ადნან-ბეის თავის დადგენილების შესახებ, რომლის მიხედვითაც უფლება ეძლევა ყველა უცხოელებს, გარდა ბერძნებისა, შევიდენ სტამბოლში, მხოლოდ იმ პირობით, თუ მათ აღმოაჩნდებათ ოსმალეთის საელჩოებისა ან მისიების მიერ დამოწმებული პასპორტები. ის დადგენილება არ ეხება იმ სახელმწიფოების მოქალაქეებს, რომელთა ტერიტორიაზე შეზღუდულია ოსმალეთის მოქალაქეთა მოგზაურობა.

ასეთი სახელმწიფოების მოქალაქენი ოსმალეთში დაშვებული არ იქნებიან. კილიკიასა და საბერძნეთის აღმოსავლეთ პროვინციებში, სადაც მოსახლეობის გაცვლა-გამოცვლა უნდა მოხდეს, ოსმალეთის წესები უცხოელთა შესახებ გაუქმებულია.

ფრანგული ენა ოსმალეთის სკოლებში.

პარიზი. ანგორიდან მიღებული ცნობების თანახმად, სახალხო განათლების კომისარიატმა გააუქმა სტამბოლის ვილაიეტის გენერალურ საბჭოს დადგენილება ფრანგული ენის სწავლების აკრძალვის შესახებ პირველდაწყებითი სკოლებში. სწავლება განახლებულია.

მაკდონალდი ანგორაში მიემგზავრება.

ანგორა, 11 აგვისტო. გაზ. „ხაკიმიეთ მილლიე"-ს ცნობით ამ მოკლე ხანში ანგორას ესტუმრება ინგლისის მუშათა პარტიის ლიდერი მაკდონალდი.

ქალთა მოძრაობა სტამბოლში.

ანგორა, 11 აგვისტო. „ვაკიტ"-ის გადმოცემით, სტამბოლში ქალთა მოძრაობა თანდათან ფართოვდება. ჩამოყალიბდა ორგანიზაცია სახელწოდებით „ქალთა სახალხო პარტია", რომლის პროგრამა მოითხოვს ოსმალო ქალების მონაწილეობას სახელმწიფო ეკონომიურ და პოლიტიკურ საკითხების გადაწყვეტაში, დანარჩენ მუხლებში კი „სახალხო პარტიის" პროგრამის მსგავსია.

სხვადასხვა ამბები

იტალია

იტალიის განზრახვები.

ვენა. 15 აგვისტო. სამხრეთ სლავიის პრესა იტყობინება, რომ ტრიესტში თავს იყრიან იტალიის ჯარები და ძლიერდება ფაშისტური რაზმები ფიუმეში. ამის გამო გავრცელდა ხმები, რომ იტალიას სურს ანექსია მოახდინოს ფიუმეზე.

შეთანხმებლების პოლიტიკა.

რომი. 15 აგვისტო. სოციალ დემოკრატ დეპუტატების ბიანკის და ადერსაინის მიერ დაარსებული სოციალ-დემოკრატიული ჯგუფი „ეგრონდა", რომელიც ემხრობა მთავრობასთან თანამშრომლობის პრინციპს, აცხადებს თავის პროგრამაში, რომ „კომინტერნი არის სლავიანური იმპერიალიზმის იარაღი, ხოლო ლონდონის ინტერნაციონალი ადრე გადაიქცევა ინგლისის იმპერიალიზმის იარაღად".

ამიტომ აუცილებელია ნაციონალურ ნიადაგზე დადგომა და თანამშრომლობა ფაშისტებთან და მთავრობასთან. „ეგირონდა"-ს აუცილებლად მიაჩნია საბჭოთა რუსეთის ცნობა.

ტურინის სოციალ-დემოკრატების პროტესტი.

რომი. 15 აგვისტო, სოციალ-დემოკრატების ტურინის სექცია პროტესტს აცხადებს პარტიაში „კოლომბინო" ს ჯგუფის არსებობის წინააღმდეგ, რადგანაც უკანასკნელი არ სცნობს პარტიულ პროგრამას.

უნგრეთი.

ხორტის მფარველობის ქვეშ.

ვენა. 15 აგვისტო. ბუდაპეშტის გაზ. „რეგელის" ცნობით ციხიდან გაქცეული გერმანელ ფაშისტების კაპიტანი ერხარდტი ჰუნგრეთში ჩავიდა.

ირლანდია.

დე-ვალერას დაპატიმრების გამო.

ლონდონი. 17 აგვისტო. დუბლინიდან მიღებული ცნობებით, იქ ოფიციალურად გამოცხადებულია, რომ დე-ვალერა იქნება ციხეში. ცნობაში ნათქვამია: „დე-ვალერამ უნდა დაიკავოს თავისი ადგილი თავის მომხრეებს და მის მიერ მოტყუებულებს შორის და დაპატიმრებული უნდა იქნეს მანამდე, სანამ მისი და მისი მომხრეების განთავისუფლება საფრთხეს წარმოადგენს საზოგადოებრივი მშვიდობიანობისათვის.

დანია.

საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენცია.

ბერლინი. 17 აგვისტო. საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენცია გაიხსნა კოპენგაგენში 800 წარმომადგენელის მონაწილეობით. თავმჯდომარედ არჩეულია მოლტესენი. (დანია).

მუშა-ქალების საერთაშორისო კავშირის კონგრესი

ვენა. 15 აგვისტო. ვენაში გაიხსნა მუშა ქალების საერთაშორისო კავშირის კონგრესი, იმ ქვეყნების სოციალ-დემოკრატიულ და ბურჟუაზიულ ლიბერალურ ორგანიზაციების წარმომადგენლების თანადასწრებით, სადაც ქალები შედიან ცალკე პროფკავშირებში. მუშა ქალების უკანასკნელ კონგრესზე ჟენევაში მიღებულია დადგენილება პროფკავშირთა ამსტერდამის გაერთიანებაში შესვლის შესახებ. კონგრესზე ჩამოსულმა ამსტერდამის გაერთიანების მდივანმა ზასენბახმა იმედი გამოსთქვა, რომ მეგობრული დამოკიდებულება ამსტერდამის გაერთიანებისა და მუშა ქალთა საერთაშორისო კავშირს შორის მომავალშიც გაგრძელდება.

პროფინტერნის მიმართვა რუმინეთის მუშებისადმი

ვენა. 15 აგვისტო. რუმინეთის კომუნისტურ პარტიის ორგანო „სოციალიზმში" გამოქვეყნებულია პროფინტერნის მიმართვა რუმინეთის რევოლუციონურ მუშებისადმი. მოწოდება ურჩევს კომუნისტებს, რომ თუ ვინიცობაა პროფკავშირთა სრული რუმინეთის კონგრესზე მიღებული იქნება გადაწყვეტილება ამსტერდამთან შეერთების შესახებ, არ დასტოვონ კონგრესი პროფმოძრაობის, მთლიანობის და კომუნისტური თვალსაზრისის დასაცავად.

ყვითელ ინტერნაციონალში

უნგრეთის მენშევიკების „გმირობა".

რამოდენიმე ხნის წინეთ ხორტის მთავრობამ 8 დღით აკრძალა სოც.-დემოკრატების ცენტრალურ ორგანოს გამოცემა ოპოზიციონურ წერილების მოთავსებისთვის. ამის გამო ბუდაპეშტის მბეჭდავები ერთსულოვნათ გაიფიცენ და მით ხელი შეუშალეს ყველა დანარჩენ გაზეთებს გამოშვებას. მბეჭდავებმა განაცხადეს, რომ ისინი მანამდე განაგრძობენ გაფიცვას, სანამ მთავრობა თავის აკრძალვას არ მოხსნის. ამ დადგენილებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან საბჭოთა მთავრობის დაცემის შემდეგ ეს პირველი გაფიცვაა, რომელიც გამართული იყო აშკარა პოლიტიკურ მიზნით.

იმავე დღეს სოციალ დემოკრატიული ფრაქციაც პარლამენტში გამოვიდა „მყვირალა" განმარტებით, მაგრამ უკვე მეორე დღეს ხორტის მთავრობასთან საიდუმლო „ვაჭრობის" შემდეგ, სოციალ დემოკრატიული ფრაქცია გამოვიდა ხორტის პარლამენტში ისეთი განცხადებით, რომელიც 2 ინტერნაციონალის ამ „სახელ განთქმულ" პარტიის ისტორიაშიაც უდიდეს ნომერს წარმოადგენს. სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პრეზიდიუმმა ხელი მოაწერა მინისტრ-პრეზიდენტის მიერ გამომუშავებულ განმარტებაზე, რომელშიაც, სხვათა შორის, არის ასეთი განცხადება: „მბეჭდავთა გაფიცვა არ წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიულ ორგანოს გამოცემის ცდას ტერორისტულ ზომების საშუალებით, არამედ მბეჭდავთა თვითნებურ გამოსვლას. პარტიის ც. კ-მა უკვე გასცა განკარგულება ამ გაფიცვის შეწყვეტის შესახებ... პარტიის ცენტრ. კ-მა არა იცოდა რა შესახებ იმისა, რომ ვილჰელმ ბემის (სოციალ-დემოკრატი-ემიგრანტი, საბჭოთა უნგრეთის წითელ არმიის ყოფილი კომანდირი) მოწოდება მის ცენტრალურ ორგანოში უნდა გამოსულიყო და ის არც იწონებს ამ მოწოდების გამოქვეყნებას. (ბემი იმავე მე-2 ინტერნაციონალს ეკუთვნის, რომელშიაც ხორტის სოციალისტებიც შედიან). **პარტიის ცეკა გადაჭრით აცხადებს, რომ მას, არა აქვს რა საერთო ბოლშევიზმთან, სასტიკათ გმობს მას** და არ აპირებს ბოლშევიზმის ლიდერთა (ამ სიტყვით მონათლეს მათ სოციალ დემოკრატი ბემი) განცხადებების საშუალებით გადააქციოს იგი პოლიტიკურ ფაქტორათ უნგრეთში. (ეს განცხადება გაკეთებული იყო მაშინ, **როდესაც მთავრობამ დააპატიმრა 100 მუშა, როგორც „კომუნისტური მეამბოხეები"**). პარტიის ცეკას არ აქვს აგრეთვე განზრახული მღელვარების გამოწვევა მასებში. ის სცდება, რომ მომავალში პარტიულ ორგანოს შინაარსი და კილო თავისუფალი იქნეს ყოველგვარ გარეშე გავლენისაგან, თანახმათ ამ განცხადებისა".

ხორტის პრესას სოციალ-დემოკრატების ამ გვარ ლოიალობის განცხადების შემდეგ, სრულის უფლებით შეეძლო აღენიშნა შემდეგი: „სოციალ-დემოკრატები ემორჩილებიან მთავრობას: ისინი ხელს იღებენ თავის გაზეთზედაც, **ისინი იძლევიან სოციალ დემოკრატიის ისტორიაშიც კი ჯერ უმაგალითო დეკლარაციას თავის ლოიალობაზე მთავრობის მიმართ**".

მაგრამ იგი არ არის უმაგალითო ისტორიაში. ეს უსინდისო დეკლარაცია არის მხოლოთ ბუნებრივი მოვლენა მე 2 ინტერნაციონალის ამ პარტიის ცხოვრებაში.

ჯანმრთელობის საქმე ს. ს. რ. კავშირში

საუბარი საბჭოთა რუსეთის ჯანმრთელობის კომისარ ამხ. სემაშკოსთან.

თუმცა ცალკე რესპუბლიკების ჯანმრთელობის კომისარიატები დამოუკიდებელი არიან, მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის შექმნა მოითხოვს ჩვენგან სახალხო ჯანმრთელობის საქმეში საერთო ხაზისა და ერთიანი გეგმის გამომუშავებას, განაცხადა საუბრის დროს ამხ. სემაშკომ—ეს არ ნიშნავს, რასაკვირველია ჯან. სახ. კომისარიატის ავტონომიის გაუქმებას კომისარიატის შეუჩერებელმა დამოუკიდებელმა მოქმედებამ ადგილობრივ პირობების მიხედვით მოიტანა დიდი ნაყოფი და ადგილობრივ ტკივილების გამოაშკარავებას და მათ დაშუშებას მეტად ხელი შეუწყო.

რ. ს. ფ. ს. რ. ჯანმრთელობის სახ. კომისარი
ამხ. სემაშკო

ს. ს. რ. კავშირის ჯანსახკომთა საერთო მიზანი.

ამას წინად მოსკოვში მოწვეული იყო სახ ჯან. კომისარების წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობამ წამოაყენა მრავალი საკითხი, რომელიც აუცილებლად მოითხოვს შეთანხმებას და საერთო სამოქმედო ხაზის გამომუშავებას. ამ საკითხებს შორის უპირველესი მნიშვნელობა აქვთ საზღვაო და ხმელეთის განაპირა საზღვრების დაცვას და ამ მიზნით მეზობელ სახელმწიფოებთან სანიტარულ კონვენციის დადებას. საბჭოთა რუსეთის, უკრაინის და საქართველოსათვის ამ საკითხს დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ. თუ ფხიზლად არ დავხვდებით, შესაძლებელია ჩვენშიც ფეხი მოიკიდოს ოსმალეთში მოდებულმა შავმა ჭირმა. საზღვრების დაცვა აუცილებლად უნდა სწარმოებდეს ერთი მთლიანი გეგმის მიხედვით და ამ რესპუბლიკების მიერ დადებული კონვენციებიც ერთგვარი უნდა იქნეს. არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს სანიტარული კანონმდებლობის საკითხს, რომლის ძირითადი საფუძვლები ყველა რესპუბლიკებისათვის ერთი უნდა იქნეს. ერთგვარი უნდა იქნეს აგრეთვე სამკურნალო პერსონალის პროფესიონალური უფლებები, სამკურნალო განყოფილების ერთიანი გეგმის გამომუშავება. ყველა ჩვენ მიერ გამომუშავებული ზომები შემდეგ გატარდება თვითეულ რესპუბლიკაში დამოუკიდებლად, ადგილობრივი პირობების მიხედვით.

ამ საკითხების გადასაჭრელად ნიადაგის მომზადება ყველა საკავშირო რესპუბლიკებში—არის ჩემი მგზავრობის უმთავრესი მიზანი.

რ. ს. ფ. ს. რ. ჯან. სახ. კომ. ხუთი წლის მოქმედება.

ამ თვე ნახევრის წინად საბჭოთა რუსეთმა იდღესასწაულა ჯან. სახ. კომისარიატის ხუთი წლის თავი. ამხ. სემაშკომ მოკლეთ დაახასიათა ჯან. სახ. კომ. მუშაობა და ხაზი გაუსვა იმ მიღწევათ, რომელთაც დღევანდელ პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ როგორც რუსეთისათვის, ისე საქართველოსათვის.

უმნიშვნელოვანეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს მთელი სამკურნალო სასანიტარო საქმის ორგანიზაციული გაერთიანება ერთს უწყებაში. გამოცდილებამ დაგვანახა, რომ ამ გაერთიანების გარეშე შეუძლებელი იყო იმის გაკეთება, რაც გაკეთებულია ამ ხუთი წლის განმავლობაში. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ყველა საშუალებათა და ძალების ერთად თავის მოყრამ შესაძლებელი გახადა საშინელი განსაცდელისაგან გვეხსნა წითელი არმია, რომლისათვისაც სანიტ დახმარების მიწოდება მტრები გარემოცულს ჩვენს ქვეყანას ამ გარანტიის გარეშე არ შეეძლო. ამ გაერთიანების წყალობით ადვილი შეიქნა ეპიდემიის შესაძლებლობის ალკვეთა. მეორე მიღწევა არის —წინასწარ ზომების მიღება ავადმყოფობის წინააღმდეგ (პროფილაქტიკა). ჩვენი ლოზუნგია: სჯობს ავადმყოფობის შესაძლებლობის წინააღმდეგ წინასწარი ბრძოლა, ვიდრე მისი განკურნვა.

მესამე დიდი მიღწევა — ეს არის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმის მოგვარება. ჩვენი მთავარი სახელმძღვანელო პრინციპი წარსულ მოქმედებაში იყო და ახლაც არის მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვა — არის საქმე თვით მშრომელთა.

მომავალი ამოცანები.

მომავალში ჯანმრთელობის დაცვის საქმეში დაწყებულ მუშაობას უფრო სისტემატიური ხასიათი უნდა მივსცეთ ყოველ დარგში.

ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია პროფილაქტიკის და ენების საქმე, რომლის გატარებაც ჩვენი პირველი მიზანი უნდა იქნეს. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მალარიას პროფილაქტიკას ა. კავკასიასა და საქართველოში. ეს სნეულება სოციალურ უბედურებად გადაიქცა. საკმაო არ არის მალიარიის საკურნალოდ მიღებული ზომა—ქინაქინით წამლობა, საჭიროა უფრო საფუძვლიანი პროფილაქტიური ზომები; ჭაობების ამოშრობა და არხების გაყვანა და სხვა.

გლეხობასთან კავშირი და ჯან. სახ. კომისარიატი.

საბჭოთა წყობილების ერთ ძირითად ამოცანას წარმოადგენს ურყევი კავშირის განმტკიცება ქალაქის მუშის და გლეხებ შორის ამ მხრივ ერთი უპირველესი მნიშვნელობა აქვს ჯან. სახ. კომ. მოქმედებას. ჯანმრთელობის დარგში სოფლად ჯერ არაფერი გაკეთებულა. საექიმო პუნქტები მოიშალა. და სამკურნალო საქმე სოფლად სრულ მოსპობის გზას ადგა. ქალაქში საქმის მოგვარება,—დღეს უკვე საშუალებას გვაძლევს უმთავრესი ყურადღება მივაქციოთ სოფელს და სასოფლო მედიცინა ფეხზე წამოვაყენოთ. ამას აქვს არა მარტო მედიკო-სანიტარული, არამედ დიდი პოლიტიკური მნიშვნელობაც

ი. წ—ძე.

საერთაშორისო მუშათა მოძრაობა

სამხრეთ სლავია.

22.000 გაფიცული.

ვენა. 15 აგვისტო. სამხრეთ სლავიაში გრძელდება გაფიცვა 10.000 სამთომადნო მუშის, აგერ უკვე მეოთხე კვირაა, რადგან მწარმოებლებმა უარი განაცხადეს მოლაპარაკებაზე. გარდა ამისა გაფიცული არის რამდენიმე კვირის განმავლობაში 12.000 მეზღვაური, ვინაიდან ნავთსადგურების სამმართველო ხელფასის გადიდების მოთხოვნილებას უკავშირებს მთავრობისაგან სუბსიდიების მიღებას.

ინგლისი.

ნავთსადგურების მუშათა გაფიცვა.

ლონდონი. 15 აგვისტო. ნავთსადგურების 10,000 მუშამ გამართა ლონდონში მიტინგი, რომელმაც ნდობა გამოუცხადა საგაფიცვო კომიტეტს, რომელიც შეუდგა ახალ კავშირის მოწყობას. კომპარტიამ გამოაქვეყნა დეკლარაცია იმის შესახებ, რომ გაფიცვა არის სტიქიური აღშფოთება ხელშეკრულების წინააღმდეგ, რომელიც სიმშილს და გაღატაკებას უმზადებს მუშებს.

სხვა ადგილებში გაფიცულები დაბრუნდენ სამუშაოზე, ვინაიდან საგაფიცვო კომიტეტმა არ გამოიმუშავა პრაქტიკული პროგრამა. კომპარტიის მიერ გამოქვეყნებულ დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ის დრო, რომელიც დაიხარჯა ლაყბობაზე ახალ კავშირის დაარსების შესახებ, გამოყენებული ყოფილიყო საგიტაციოდ გაფიცვების გამოცხადების მიზნით, გაფიცვები მოგებული იქნებოდაო.

უნგრეთი.

ბრძოლა საცხოვრებელ მინიმუმისათვის.

ვენა. 15 აგვისტო. უნგრეთის მუშათა უკმაყოფილება იზრდება. სხვადასხვა დარგის წარმოებათა მუშებმა პროფკავშირის საბჭოს მოსთხოვეს აწარმოოს ბრძოლა ინდექსისა და საცხოვრებელ მინიმუმის სისტემის წინააღმდეგ. საბჭო ამ დღეებში იწვევს ყველა დარგის სამრეწველოთა მუშების კონფერენციას.

ნორვეგია.

მუშები ეხმარებიან ერთმანეთს.

ქრისტიანია. 13 აგვისტო. ნორვეგიის ცენტრალური პროფესიონალური ორგანიზაცია ფინეთის ასეთივე ორგანიზაციისათვის გაგზავნილ დეპეშაში დაპირებას იძლევა ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინოს ფინეთის მუშებს თეთრი ტერორის წინააღმდეგ ბრძოლაში და წინადადებით მიმართავს შვეციისა და დანიის ცენტრალურ პროფესიონალურ ორგანიზაციებს საერთო გამოსვლა მოაწყონ ფინეთის დატუსაღებულ რევოლიუციონერების დაცვის მიზნით. ნორვეგიის კომპარტიის ც. კ. და ცენტრალური პროფესიონალური ორგანიზაცია გამოშვებულ მანიფესტში პროტესტს აცხადებენ თეთრი ტერორის წინააღმდეგ ფინეთში და მოუწოდებენ სკანდინავიის მუშათა კლასს მხარი დაუჭირონ ფინეთის მუშებს.

საბჭოთა კავშირში

უკრაინა.

გერმანიის მეზღვაურთა წერილი.

ოდესა. 15 აგვისტო გერმანელ გემების მეზღვაურები, რომელთაც ინახულეს ჩვენი წყალქვეშა ნავი, წყალთა რაიონულ კომიტეტისათვის გაგზავნილ წერილში გაკვირვებას გამოსთქვამენ იმ ამხანაგური დამოკიდებულების გამო, რომელიც მეზღვაურებსა და უფროსებს შორის არის და სურვილს გამოსთქვამენ საერთაშორისო პროლეტარიატის დამცველის—წითელი ფლოტის აყვავებისათვის.

ამერიკელი რეემიგრანტები.

ოდესა. 15 აგვ გემ „პესტელ"-ით ჩამოვიდა ამერიკელი ორი სამიწათმოქმედო კომუნა, რომელთაც თან ჩამოიტანეს ტრაქტორები და დანიიდან გამოიწერეს 80 ძროხა. მათ შორის ბევრია სპეციალისტები სოფლის მეურნეობის დარგში. რეემიგრანტები გაემგზავრენ დონის ოლქში.

სრულიად საკავშირო გამოფენა გადადებულია 10 აგვისტოსათვის.

მოსკოვი. 14 აგვისტო. წვიმების გამო, სრულიად საკავშირო გამოფენის გახსნა გადადებულია 19 აგვისტოსთვის.

მფრინავის დაღუპვა.

ოდესა. 15 აგვისტო. სავარჯიშო ფრენის დროს დაიღუპა სამხედრო-საზღვაო მფრინავი ვორონკოვი.

სტოვებენ მენშევიკურ პარტიას.

ელისავეტგრადი. 15 აგვისტო გაზ. „კრასნი პუტ"-ში ელისავეტგრადის მენშევიკური პარტიის ძველი წევრები აცხადებენ, რომ სტოვებენ მენშევიკურ პარტიას და წინადადებას იძლევიან მოწვეულ იქმნას სრულიად უკრაინის მენშევიკური პარტიის ყრილობა.

გემ „პესტელი"-ს მოსვლა

ოდესა. 15 აგვისტო. ახლო აღმოსავლეთიდან დაბრუნდა გემი „პესტელ"-ი, რომელიც სტამბოლში ხუთ დღით გააჩერეს კარანტინზე. სტამბოლის მცხოვრებლები მეზღვაურებს შეეგებნენ ყვირილით: „გაუმარჯოს საბჭოთა რუსეთს და ბოლშევიზმს"! „პესტელ"-მა 100 ემიგრანტი მოიყვანა.

ბუხარა.

ბუხარის ცენტ. აღმ. კომ. სესია.

ბუხარა. 15 აგვისტო. ბუხარის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა მთელი რიგი შესწორებანი შეიტანა ბუხარის რესპუბლიკის კონსტიტუციაში, რომლებიც მშრომელ მოსახლეობის უპირატესობას აფართოებს და და არა მშრომელთა უფლებებს კი ჰკვეცავს.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი.

ციმბირის ჭირი.

სოხუმი. 16 აგვისტო. სამურზაყანოს მაზრიდან იტყობინებიან, რომ იქ ზოგიერთ ადგილებში ციმბირის ჭირი გაჩენილა, რომელმაც უკვე 40 სული საქონელი იმსხვერპლა, თურმე ზომებია მიღებული ამ სენის სალიკვიდაციოდ.

კოოპერაციას ეტანებიან.

სოხუმი. 16 აგვისტო. სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტის მოხსენებიდან სჩანს, რომ გლეხობა მთელი სოფლობით ეწერებიან კოოპერატივებში წევრებად. ეს მოვლენა აიხსნება აგიტაციის საუცხოვოდ დაყენებით, რომლის საშუალებითაც გლეხობას ნათლად განემარტა კოოპერაციის მნიშვნელობა.

აჭარა.

ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სამმართველოში.

ბათომი. 16 აგვისტო. ივლისის განმავლობაში ამიერ-კავკასიის საგარეო ვაჭრობის სამმართველოს ბათომის განყოფილებამ წინადადება მისცა საბაჟოს, რათა ამიერ კავკ. საგარეო ვაჭრობის სამმართველოს მიერ შეძენილი და მიღებული საქონელი გაუშვას ტფილისში მომავალ თვის განმავლობაში (ტყავეულობა, ფართლეული, და შაქარი) ამას გარდა გადაგზავნილი უნდა იყოს საზღვარ-გარეთიდან მიღებული თუნუქი, მანქანის ნაწილები და მედიკამენტები. სოხუმში იგზავნება შაქარი. საზღვარ-გარედ გაიგზავნა ნუში.

უმუშევართა დაზღვევა.

ბათომი. 16 აგვისტო. წარსული თვის განმავლობაში შრომის ბირჟას აღრიცხვაზე აუყვანია 253 უმუშევარი. საექსპერტო კომისიაში 141 კაცია გატარებული, რომელთაგანაც გამოცდა ჩააბარა 113-მა.

ხის დამმუშავებელთა კავშირი.

ბათომი 16 აგვისტო. ახლო მომავალში ბათომში დაარსდება ხის დამმუშავებელთა კავშირი.

აზერბეიჯანი

ბაქოს პოლიტგანათლების განყოფილებაში.

ბაქო. 16 აგვისტო. ბაქოს პოლიტგანათლების განყოფილებამ კურსები გახსნა სკოლის გარეშე მუშაკთა მოსამზადებლად. განზრახულია კურსების გახსნა საბიბლიოთეკო მუშაკთა მოსამზადებლად. კომისარიატებში თურქული ენის შემოღების გამო, ყველა კავშირებს წინადადება მიეცა, წარმოადგინონ იმ პასუხისმგებელ მუშაკთა სია, რომელთაც თურქული არ იციან, რათა მოეწყოს თურქული ენის უცოდინარობის ლიკვიდაცია. დადგენილია თურქულ ბიბლიოთეკების შესავსებად შეძენილ იქნას თურქული წიგნები. სახალხო განათლების კომისარიატის საშუალებით განზრახულია ექსკურსიის მოწყობა სრულიად საკავშირო გამოფენაზე. მოლაპარაკება სწარმოებს, რათა ექსკურსანტებს ნივთიერი დახმარება მიეცეს და შეღავათიანი პირობებით იმგზავრონ. ექსკურსანტების შორის 50—60 გლეხი იქნება.

სომხეთი.

დახოცილ ამხანაგთა ხსოვნისათვის.

ერევანი. 16 აგვისტო. ამხ. მუსაელიანის, ალლახვერდიანისა და ღარიბჯანიანის მოკვლის 3 წლის შესრულების გამო, გაზეთი „ხორურდაიინ აიასტან"-ი სამგლოვიარო არშიით გამოვიდა.

ერევნის უნივერსიტეტი.

ერევანი. 16 აგვისტო. ერევნის უნივერსიტეტის გამგეობა ახალ ლექტორებს იწვევს ყველა ფაკულტეტებზე. წელს სტიპენდიანტთა რიცხვმა 135-ს მიაღწია. ფიზიკური კაბინეტი გამდიდრდა ლაზარევის უნივერსიტეტის მთელი ფიზიკური კაბინეტის მიღებით. საუნივერსიტეტო კლინიკის შეკეთება ჩქარა დამთავრდება. სასოფლო-სამეურნეო ფაკულტეტის სტუდენტთა პრაქტიკული მეცადინეობისათვის უნივერსიტეტს დაეთმო მის გარშემო მდებარე რამდენიმე ბაღი.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირის სიღნაღის სამაზრო კომიტეტის მუშაობის მოკლე ანგარიში ივლისში,

ორგანიზაციაში შედის 74 უჯრედი. წევრთა და კანდიდატთა საერთო რიცხვი უდრის 1043 კაცს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ მაზრაში მიუხედავათ გახურებული მინდვრებში მუშაობისა, კრებებზე დასწრება და საერთოთ კავშირის მოვალეობათა შესრულება საკმაო დონეზე სდგას.

ხელმძღვანელობა და კავშირი ადგილებთან კარგია, ის ხორციელდება უმთავრესად მაზრკომის ინსტრუქტორების საშუალებით. მათი რიცხვი უდრის.

რაც შეეხება პარტიასთან დამოკიდებულებას ეს უკანასკნელი უნდა ჩაითვალოს დამაკმაყოფილებლად, რამდენათაც პარტკომი ყოველთვის ხელს უმართავს კავშირს როგორც იდეურათ, ისე მატერიალურადაც.

ინტენსიურათ მიმდინარეობს სააგიტ.-საპროპაგანდო მუშაობაც. მაზრის მასშტაბით პოლიტ წრეების რიცხვი უდრის-45, მარქსისტულ წრეების 6. პროფ-კოლექტივები-3, უპარტიო წრე-2. წრეებს მიმაგრებული ჰყავს მომზადებული ამხანაგები. საკმაო მომზადებული ამხანაგებისაგან შესდგება პროფკოლექტივებიც.

სპარტაკის ორგანიზაციაში შედის 214 კაცი, მათ შორის 26 კომკავშირის წევრებია. ყოველ კოლექტივებს ჰყავთ მიმაგრებული იდეური ხელმძღვანელები. სპარტაკის საბჭოს თავმჯდო-

მენშევიკური პარტიის აღსასრული

ფოსტა-ტელეგრაფის მუშა-მოსამსახურეთა განცხადება

ჩვენ, ქვემორე ხელის მომწერნი, ტფილისის ტელეგრაფის ცენტრალური კანტორისა და ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის თანამშრომლები, საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის (მენშევიკების) ყოფილი წევრები და თანამგრძნობნი, მშრომელი ხალხის გასაგონათ ვაცხადებთ შემდეგს: ჩვენ ვთვლიდით ამ პარტიის წევრებათ და ვფიქრობდით, რომ ის დაიცავდა მუშათა კლასის ინტერესებს, რომ 1917 წლის დიდი რევოლიუციის შემდეგ ის შეუდგებოდა იმ დიად მიზნის განხორციელებას, რომელსაც სოციალიზმი ეწოდება; მაგრამ მათი 3 წლის არსებობის განმავლობაში ჩვენ ვხედავდით და დავრწმუნდით, რომ ისინი არა თუ შეეცადნენ განემტკიცებინათ რუსეთის დიდებულ რევოლიუციის მონაპოვარნი, არამედ მათ დაიქსაქსეს რევოლუციონურათ განწყობილი მუშათა კლასი და ეროვნული შუღლისა და სიძულვილის ცეცხლი დაანთეს მეზობელ სახელმწიფოების მშრომელ მასებს შორის და ამასთანავე მათ სხვადასხვა დროს სასტიკი ომი გამოუცხადეს რუსეთის რევოლიუციონურ პროლეტარიატს; სოციალ-გამყიდველების ტაქტიკის გამოისობით საქართველო დასაყრდნობ ბაზათ გახდა იმპერიალისტებისათვის რუსეთის დიდებულ რევოლიუციის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში.

უკეთებთ რა ჯამს მენშევიკების, „სოციალ-გამყიდველების“ სამარცხვინო მოქმედებებს და მათ ღალატს მუშათა კლასის წინაშე, ჩვენ, ტელეგრაფისა და ფოსტა ტელეგრაფის კომისარიატის მოსამსახურეები ვსტოვებთ მენშევიკების სამარცხვინო გამყიდველ პარტიას და გადავდივართ საბჭოთა ხელისუფლების მხარეზე, რომელიც ერთად ერთი დამცველია მშრომელი ხალხის ინტერესებისა.

ფიცს ვსდებთ მუშათა და გლეხთა მთავრობის წინაშე, რომ მთელი ძალღონით ხელს შევუწყობთ საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებას და მშრომელთა გამარჯვების დამკვიდრებას. ამიტომ ყველას გასაგონათ ვაცხადებთ, რომ სამუდამოთ ვსტოვებთ მუშათა ინტერესების მოღალატე მენშევიკურ პარტიის რიგებს და ვსდგებით მე 3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალის პლატფორმაზე.

1 დავიდოვი ვასილი ანდრიას ძე პარტიის წევრი 1917 წ., 2. ბერძენიშვილი ივანე გრიგოლის ძე თანამგრძნობი 1917—1920 წ., 3. ოგაშვილი დიმიტრი 1917—1920 წ., 4. მერაბოვი გარეგინ 1917—1920 წ., 5. მახვილაძე გიორგი ივანეს ძე 1918—1920 წ., 6. ხუროშვილი დიმიტრი 1919—1920 წ., 7. პერტიკაშვილი 1919—1920 წ., 8. მაისურაძე დ. 1920 წ., 9. ხოკული კონსტანტ. ნიკოლ 1920 წ., 10. მენთეშაშვილი ნ. 1919—1920 წ., 11. ვეფხვაძე ვ. 1918—1920 წ., 12. ლეონიაშვილი ვასილი სპირიდონის ძე თანამგრ. 1917—1920 წ., 13. კაშია არჩილ მეთოდის ძე, 14. მჭედლიშვილი მიხო (მუშა) 15. დაკლიანიძე ერისტო, 16. ვაშაკიძე გ. თანამგრ. 1917 წ.

მარეთ არის კავშირის ძველი არა ლეგალური მომუშავე ამხანაგი. მეცადინეობა სწარმოებს რეგულიარულად. ეწყობა გაფრენები.

საყოველთაო სამხედრო სწავლების ყველა სამეცადინო პუნქტებზე მიმაგრებულია პოლიტიკური ხელმძღვანელები კავშირიდან.

მუშაობა მოსწავლეთა შორის ივლისში არ წარმოებულა მათი საზაფხულოთ დათხოვნის გამო, საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლე ახალგაზრდობაში დიდი ხანია მოხდა საგრძნობი გარდატეხა კომკავშირის სასარგებლოდ. ერთის მხრით ორგანიზაცია „ახალგაზრდა მარქსისტებისა“ დაიშალა, ჩაბარდა არქივს, მეორეს მხრივ, მაზრკომის მიერ აღებული სწორი ხაზის წყალობით მოსწავლე ახალგაზრდობაში სამუშაოდ-განწყობილება უკანასკნელებისა კომკავშირის მიმართ საგრძნობლად გაუმჯობესდა და დღეს მაზკომში ბლომად შემოდის განცხადებები კავშირში მისაღებათ როგორც ვაჟებიდან, ისე ქალებიდანაც.

ი.

ნოქალაქევის რაიონი (სენაკის მაზრა).

ა. წ. 4 აგვისტოს ადგ. ნაქალაქევის თეატრის დარბაზში გაიხსნა საქ. კ. პ. სენაკის მაზრის ნაქალაქევის რაიონის ორგანიზაციის მეოთხე ლეგალური კონფერენცია. კონფერენციას დაესწრო გადამწყვეტი ხმით 15 დელეგატი. აგრეთვე საქ. კ. პ. ნაქალაქევის თემის ორგანიზაციის წევრები და ა. კ. კ. წევრები უკლებლივ და უპარტიო მოქალაქენი რიცხვით 450 კაცამდე ორივე სქესისა. კონფერ. დაესწრო სენაკის სამაზრო პარტკომის პ. მგ. მდივანი ამხ მაკარი ბედია. კონფერენციის საზეიმო სხდომა გახსნა რაიკომის მდივანმა ამხ. ალ. ჯოჯუამ. ამხ. ალ. ჯოჯუას წინადადებით, კონფერენციამ მოიგონა რევოლიუციონური ბრძოლაში დაღუპული ამხანაგები და ფეხზე ადგომით პატივი სცა მათ ხსოვნას (ხორო ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს). რის შემდეგ კონფერენციამ აირჩია პრეზიდიუმი სამი კაცისაგან შემდგარი შემდეგი ამხანაგების შემადგენლობით ალ. ჯოჯუა, ლუხუ გაგუა და ათანასე ჯავახია. პრეზიდიუმის წინადადებით კონფერენციამ მიიღო დღიური წესრიგში შემდეგი საკითხები. 1. რ. კ. პ. მე-12 ტე ყრილობის მუშაობის შესახებ, 2. მიმდინარე მომენტი, 3. მოხსენება ადგილებიდან, 4. რაიკომის არჩევნები, 5. მიმდინარე საკითხები.

პირველ ორი საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. მაკარი ბედიამ. ამხ. მომხსენებელი შეეხო პირველად მე 12-ტე ყრილობაზე გარჩეულ საკითხებს და მიღებულ რეზოლიუციებს, სრულიად გასაგები ენით დაუხასიათა დამსწრეთ ყველა ზემოხსენებული. დაამთავრა რა პირველი საკითხი, მომხსენებელი გადავიდა მეორე საკითხზე—მიმდინარე მომენტი. ვრცლად შეეხო და ნათლად დაახასიათა საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის დღევანდელი შინაური და საგარეო მდგომარეობა.

ამხ. მაკარი ბედიას მოხსენების შესახებ რეზოლიუციების მიღების შემდეგ კონფერენცია შეუდგა მოხსენებების მოსმენას ადგილებიდან, საიდანაც გამოირკვა, რომ საერთოდ რაიონში პარტიული მუშაობა დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს.

რაიკომში არჩეულ იქნენ შემდეგი ამხანაგები: 1 ალ ჯოჯუა, 2 დომენტი მალანია, 3. ათანასე ჯავახია, 4 ვანო ბარქაია, 5. პეტრე ჯაავა. კანდიდატებად. 1. ლუხუ გაგუა, 2. ბესარიონ ხუბუა. არჩევნების შემდეგ ამხ. მ. ბედია მოუწოდა დამსწრეებს ცხოველ მონაწილეობა მიეღოთ საჰაერო ფლოტის მშენებლობაში და გააცნო კრებას სათანადო ცირკულიარი.

ალ. ჯოჯუა.

ეკონომიური ცხოვრება

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(17 აგვისტო).

ჩერვონცები — — —	26,300
ოქრ. მომგ. სესხ. 1 მ. —	2,200
გირ. სტერლინგ. ეფექტ	26,200
ჩეკები —	23,550
დოლარები ეფექტ. —	5,600
„ ჩეკები	5,050
ოსმ. ქალ. ლირა ეფექტ.	3,675
იტალიური ლირა — —	200
ფრანგული ფრანკი —	275
საბჭ. ფულის ნიშ.	18,25

მუშკოპის ფასები

(17 აგვისტო)

პური—14. ნატეხი შაქარი—1.500 ათ., ფხვნილი შაქარი 1 250. ძროხის ხორცი—550. ცხვრის ხორცი—700 აგდაშის ბრინჯი—300 ათ. ერევნის ბრინჯი—375 როსტოვის საპონი—600. მაკარონი—400. ვერმიშელი—375. წითელი ლობიო 40 თუშური ყველი—860. ჰოლანდიური ყველი—800. კარტოფილი—90. პამიდორი—100 ათ. ბადრიჯანი ც.—25. ხახვი გირ.—125 კვერცხი 50 ათ. ცალი.

ტფილისის ბაზრის ფასები.

(17 აგვისტო).

პური 1 ხარ.—230—250, პური 2 ხარ.—150. ნატეხი შაქარი—1 800 ათასი. ფხვნილი შაქარი—1.300 ერბო 1200—1 400 ათ. კარაქი—1.400—1.600. თუშური ყველი—800—900. მზესუმზირას ზეთი—800. აგდაშის ბრინჯი—300—350 იმერული ყველი 600 ათასი ძროხის ხორცი—500—700. ცხვრის ხორცი—800. კარტოფილი—100. პამიდორი—100—150. ბადრიჯანი—25—50 ც. კომბოსტო—90. ჭარხალი 70. ხახვი—150. ფქვილი—270. კვერცხი 10 ც.—550—600

ბირჟის საქონლის განყოფილების მიწოდება.

(17 აგვისტოს)

იტალიური კონსერვები. გაზის და წყალსადენის მილები. ინგლისური თეთრი თუნუქი. გამომწვარი აგურები. მზესუმზირას ზეთი რუსეთის ბემის ფანჯრის მინები. ბოთლები, კაუსტიური სოდა. რ. ს. ფ. ს. რ. ხორბალი და პურის პროდუქტები. ასანთი რუსეთის. ს. მ. უ. ს. საფეიქრო-საპნისა და ზეთის ტრესტის პროდუქცია. ცემენტი და ეტერნიტი ნოვოროსის. სახურავის რკინეულობა. ქაღალდი და კარტონები რკინეულობა.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(17 აგვისტოს).

უმაღლესი და 1 ხარისხ. ფქვილი. ადგილობრივი და ყუბანის ფქვილი სალამასი ცემენტი პორტლანდის ნედლი ტყავები. შვეიცარული ყველი. მავთული. ინგლისური თეთრი თუნუქი. ინგლისური შაბიამანი. ნახჩევანისა და ბახმუტის ქვა მარილი. ტომრები. ცეილონის ჩაი. გოგირდი „ბუდა“. ყუბანისა და ადგილობრივი ხორბალი. კარტონები. კალა. კანიფოლი. საკვები ფქვილი. ქერი. მზესუმზირას ზეთი რუსეთის

ბირჟის საქონლის განყოფილების გარიგებანი.

(17 აგვისტოს)

ლეკური მატყლი 1923 წ. შემოდგომის კრეჭის ენკენისთვის, ფაბებში 0,1 ჩერვ შეღავათით თვითეულ ფუთიდან. ფასანაურის და ახალქალაქის მატყლი 1923 წ. შემოდგომის კრეჭის 1,55 ჩერვ. და 1,65 ჩერვ. ფუთი, ფრანკო მყიდველის საწყობი ტფილისში. ასანთი რუსეთის ვოლკოვის ფირმისა 1,65 ჩერ. 1000 კოლოფიანი ყუთი, აქციზგადახდილი.

ფხვნილი შაქარი რუსეთის 1,6 ჩერვ ფუთი, ფრანკო გამყიდველის საწყობი.

ბირჟის საქონლის განყოფილების მოთხოვნილება.

(16 აგვისტო).

უმაღლესი და 1 ხარ. ფქვილი. ადგილობრივი და ყუბანის ფქვილი. სალამასი ცემენტი პორტლანდის ნედლი ტყავები შვეიცარული ყველი. მავთული. ინგლისური თეთრი თუნუქი, ინგლისური შაბიამანი ნახჩევანისა და ბახმუტის ქვა მარილი. ტომრები ცეილონის ჩაი. გოგირდი „ბუდა“. ადგილობრივი და ყუბანის ხორბალი. კარტონები. კალა. კანიფოლი. საკვები ფქვილი ქერი. მზესუმზირას ზეთი რუსეთის.

თფილისის საქონლის ბაზრის განწყობილება.

(17 აგვისტო)

თფილისის საქონლის ბაზრის საერთო განწყობილება 17 აგვისტოს წინა დღესთან შედარებით—უსტოი.

საქართველოს მეცხვარეობა

საკმარისია გადავხედოთ საქართველოს რუქაზე მთა-გორიან და უწყლო ადგილებს და დავრწმუნდებით, რომ მათი გამოყენება შეიძლება მხოლოდ მესაქონლეობაში.

დიდი ნაწილი ჩვენი ტერიტორიისა მდებარეობს 4000—9000 ფუტის სიმაღლეზე ზღვის დონიდან. და მცხოვრებლები ამ ადგილებისა მისდევენ უმთავრესად მესაქონლეობას. 1917 წ. აღწერით საქართველოში ითვლებოდა 750 000 დესეტინა საძოვარი, როგორც საზამთრო „ყიშლაღი“ და საზაფხულო „ეილაღი“. მაგრამ საბჭოთა რესპუბლიკების უკანასკნელ გადამიჯვნის შემდეგ სურათი შეიცვალა; დიდი ნაწილი საზაფხულო საძოვრებისა არდაგანისკენ, რომლითაც ძველადვე საქართველოს მეცხვარეობა სარგებლობდა და აგრეთვე საუკეთესო საზაფხულო საძოვრები ელდარში ჩამოშორდა საქართველოს, რამაც უარყოფითად იმოქმედა განსაკუთრებით ჩვენს მეცხვარეობაზე.

ომის დროს მეცხვარეობა, როგორც ყოველი დარგი მეურნეობისა, საგრძნობლად დაზარალდა. ცხვარი შემცირდა არა ნაკლებ 200 პროცენტისა მაგრამ დღეს სურათი იცვლება და მეცხვარეობა ისევ ფეხს იკიდებს მას სჭირდება მოხმარება და ხელის შეწყობა. მთავრობისაგან. რაში უნდა გამოიხატოს ეს დახმარება? უზრუნველყოფა ცხვრისა საძოვრებით და მტრის ხელისგან. გადავავლოთ თვალი საზაფხულო საძოვრებს.

დავიწყოთ თუშეთიდან. ეს ბუდე იყო მეცხვარეობისა; თუშეთის ცხვარი არ ეტეოდა ალაზნის თავის, წოვათის და თუშეთის მთებზე, გადადიოდა ხევსურეთის „ანდაქზე“ არდაგანისკენ, ლეკის მთებში. დღეს ისეთია მდგომარეობა, რომ თუშებს თავის მთებში ვერ დაუყენებიათ ცხვარი. მათ ყოველ წელს არა ნაკლებ 100 შეიარაღებული კაცისა უდგათ საზღვარზე თავისივე ხარჯით. მიუხედავად ამისა წელს, როდესაც მეცხვარეთა ნაწილმა მაინც გაბედა და გადავიდა ალაზნის თავზე (ეს საძოვარი საუკეთესოდ ითვლება საქართველოში), ქისტების ბრბოებისგან მათ მიიღეს „ულტიმატუმი“ 500 [illegible]. ამის წინააღმდეგ მთავრობამ დროზე მიიღო შესაფერი ზომები, მაგრამ მაინც მეცხვარეები იძულებული იქნებიან აჩქარდნენ, წველას. თავი დაანებონ, მთაში ვერ დაპარსავენ და ადრე ბარში ჩამოსვლით დიდი ზარალი მოუვათ.

უარესი სურათია თუშეთის დანარჩენ სამ თემში. აქ პირიქითის თემს დაატოვებიეს არამც თუ საძოვრები, რამოდენიმე სოფელიც ხევსურეთის და ფშავლის მთები უსარგებლოთაა. ხევსურები თვით არ მისდევენ მეცხვარეობას. ფშავლები თრიალეთის მთებს აფარებენ თავს.

გადავიდეთ დიდოეთის მთებზე. ეს მთები ძალიან ხელსაყრელია მეცხვარეთათვის, როგორც სიახლოვით ზამთრის საძოვრებიდან და საცხოვრებელ სოფლებთან.

ჯერ კიდევ 1877 წ. დიდოებმა გარეკეს ნაკუდაობის ცხვარი და მოკლეს 5 თუში მდევარი. დღეს ამ მთებში იმყოფება 90—100 000 სული ცხვარი. გადასახადს იხდიან, ნატურით 200 ცხვარზე 5 სული ეს დიდი დანაკლისია კერძო მესაკუთრისთვის და აგრეთვე რესპუბლიკისთვის, რადგან საკმაო რიცხვი სანაშენო დედალ ცხვრისა სისტემატიურად აკლდება.

ამასაც გაუძლებდა მეცხვარე, რომ სხვა მხრივაც არ ბეკრავდენ დიდოები. ისინი ხშირი სტუმრები არიან ცხვრის ბინებისა და ყოველთვის მეცხვარე შიშის ქვეშ კლავს ცხვარს მათ გასამასპინძლებლათ და სახლში გასატანებლათ. დიდოების ახლო-მახლო სოფლის კომისრები ჩამოივლიან და მოსთხოვენ ცხვარს „გორულს“ (ბიაზი) და მარილს. მეცხვარეებიც კვებენ მათ.

იყო შემთხვევა წრეულს, რომ ერთმა ჯგუფმა თუშმა არ მისცა ცხვარი და დაკარგა კიდეც ცხენები და ბარგი. ამისთანა მაგალითები ხშირია.

გარდა ამ პირდაპირი ხალხისა დიდ ზარალდება ცხვარი ადრე ბარში ჩასვლით, რაც გამოწვეულია ისევე მტრის შიშით. თუ უწინ მთაში გაპარსვის შემდეგ დასუქებული ცხვარი ოქტომბრის ბოლო რიცხვში მიდიოდა პირდაპირ შირაქში, დღეს მთაში ბატკნის პარსვასაც ძლივს ასწრებენ და მარიამობისთვის გალეულს უნდა ჩამორეკონ ცხვარი და რადგან მაშინვე შირაქის ზამთრის საძოვრებზე ვერ ჩარეკენ სიმშრალის (უწყლოობის) გამო უხდებათ დროებითი შესაფერ ადგილების ყიდვა საძოვრად და საპარსავად, რაც აუარებელ ხარჯებს იწვევს.

აქვე მინდა ავღნიშნო ერთი მოვლენა. ხუფრის სააგენტო აძლევს თუშს საბუთს, რომლითაც ერთ ერთ მთის № 4 საზღვარი აღნიშნულია ს. ხუფრიდან ყადორის ციხემდე. საქმე იმაშია რომ ყადორის ციხის იქით საკმაო საძოვარი იყო სათავადო. დღეს ამ სათავადოებში დიდოების კომისარმა უკვე მიიღო საბალახე და თელავის სააგენტო თავის მხრივ თხოულობს... როგორც ჩანს, გამოსარკვევია საზღვრის საკითხი.

რაც შეეხება თრიალეთის მთებს, აქ მდგომარეობა უკეთესია იმ მხრივ, რომ მტერი იშვიათია და ამ მხრივ ცხვარი თითქმის უზრუნველყოფილია. თუმცა აქაც ხშირია მეკობრეების თავდასხმა. სამაგიეროთ აქ იმის შემდეგ, რაც არდაგნის საძოვრები ჩამოერთოთ მრავალ ცხვარს მოუყარეს თავი და არის ადგილები, სადაც თითქმის 12 სული მოდის დესეტინაზე რაც დაუშვებელია ნორმალურ პირობებში.

აქ მოვიყვანე მხოლოდ რამოდენიმე საჭირ-ბოროტო საკითხი მეცხვარეობისა, რომლის გამოსწორება აუცილებელია და შესაძლებელი, მაგრამ თვით მეცხვარენი უმწეონი არიან. ამისთვის მათ აქვთ კავშირი „მწყემსი“, რომელიც დაარსდა 1920 წელს. თუ რა გააკეთა „მწყემს“-მა წარსულ წლებში ამას არ შევეხები. ვიტყვი კი, რომ თითქმის მთელი მისი მოქმედება განისაზღვრებოდა მხოლოდ მატყლის ოპერაციებით. ეს ოპერაციებიც არ იყო შესაფერისად ჩატარებული და დღესაც 20 და 21 წლების მატყლების ფული ბევრ წევრს არ მიუღია.

წელს, როდესაც „მწყემს“ ახალი გამგეობა ჩაუდგა სათავეში საქმე უმჯობესდება,

პირველი ნაბიჯი „მწყემსი“-სა იყო გაზაფხულზე საბალახოების შეტანა შემოდგომის მატყლის დაბევებით, რითაც დიდი შეღავათი მიეცათ მეცხვარეთ, რადგან ამ დროს გარდა ცოცხალ ცხვარისა სხვა ნაწარმოები არაა გასასყიდი და მაშასადამე მწყემსიც უფულოთაა. ამავე დროს „მწყემსი“ შეუდგა წასულ წლების ვალების გასტუმრებას. ჯერ ჯერობით გასწორებულია 1922 წლის ანგარიში. რიგშია 1920—21 წლები.

ერთი მთავარი მიზეზი, რის გამო მწყემსმა ვერ შესძლო გაეერთიანებია საქართველოს ყველა მეცხვარეობა თავის გარშემო ის არის, რომ ამხანაგობა მოქმედობდა მხოლოდ ცენტრში, ტფილისში.

თუ მსხვილი მეცხვარე უძლებდა ტფილისში მგზავრობის ხარჯებს, წვრილებისთვის მიუწვდომელი იყო ტფილისთან კავშირი.

ამ მხრივ საქმის მოსაგვარებლად მწყემსი ეხლავე შეუდგა სარაიონო განყოფილებების გახსნას, რის პრაქტიკული განხორციელება მოხდება არა უგვიანეს შემოდგომისა. თუ ამ მიმართულებით არ შეჩერდა მუშაობა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამხ. „მწყემსი“ სრულიად გაასწორებს ძველ შეცდომებს, შემოიკრებს წარსულ წლებში გაცრუებულ და შემოფანტულ წევრებს და საქართველოში არ დასტოვებს არც ერთ მეცხვარეს თავის მფარველობის გარეშე.

ინი.

ტყის მრეწველობა საქართველოში

საქართველოს ტყეები სრულიად სამართლიანად იპყრობენ სხვა და სხვა ტყის მრეწველთა ყურადღებას მით უმეტეს, რომ ტყის მრავალი რაიონი სრულიად შენახულია და არის ადგილები, სადაც ტყე სრულიად ხელუხლებელ გაუვალ ტევრს წარმოადგენს.

საქართველოს ყველა ტყეებს, მცირე გამოკლებით, აქვს საკონცესიო ხასიათი, რომელიც თუმცა სავსებით არა, მაგრამ რამდენიმედ მაინც გამორკვეულია ტყის მეტყევეთაგან.

კოდორის სატყეო რაიონი

კოდორის სატყეო რაიონში შედის ის აგარაკები, რომელნიც ქ. სოხუმიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით მდ კოდორის აუზში მდებარეობენ.

ტყეების უმრავლესობა გაშენებულია ნაკლებად დასახლებულ მთის კალთებზე, რომელიც მოკლებულია სამიმოსვლო გზებს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ვიწრო საცალფეხო ბილიკებს. ამ ჟამად საუკეთესო გზად ჩაითვლება მდინარე კოდორი და მისი შენაკადები, რომელთა საშუალებითაც მოსახერხებელია აგარაკებიდან შავი-ზღვის პირად ხე ტყის ჩამოტანა. კოდორის შენაკადთაგან ზოგიერთი გამოდგება ცალკე მორების ჩამოსატანად, ხოლო თვით მდ. კოდორით შეიძლება ტივებად შეკრული ხე-ტყის წამოღება.

ამ მიზნით მდ. კოდორის გამოყენების ცდა ყოფილა წინად და დადებითი შედეგებიც მოუცია. ეს გარემოება მით არის საყურადღებო, რომ სატყეო აგარაკები ან მდინარე კოდორის ორივე ნაპირის მახლობლად მდებარეობენ, ან მის შენაკადებს მიუყვებიან.

კოდორის რაიონის ტყეები იმყოფებიან პონტიის საბოტანიკო-გეოგრაფიულ სარტყელში, რომელიც ცნობილია ატმოსფერული ნალექის დიდი რაოდენობით, რბილი და თბილი ჰავით. ეს პირობები ხელს უწყობენ აღმოცენებას მდიდარ და სხვა და სხვა ფეროვან მცენარეულობისას, რომლის შემადგენლობაში შედიან მესამე ფორმაციის წარმომადგენელნიც.

განსაკუთრებით მდიდარი და მრავალ მხრივი ქვედა ზონებში, იგი თან და თანობით იქცევა შუა ზონის ფოთლოვან ტყეთ ზღვის დონიდან სამი ათასი ფუტის სიმაღლეზე. ხოლო უფრო ზევით ფოთლოვან ტყეს სცვლის მაღალი მთის წიწვიანი ტევრი, რომელიც ზღვის დონიდან 7,000 ფუტის სიმაღლეზე მდებარეობს. წიწვიან ტყეში გვხვდება უზარმაზარი სიმაღლის და სისქის ტყის გიგანტები.

აქ არსებულ ჯიშებთაგან სამრეწველო თვალსაზრისით განსაკუთრებით საყურადღებოა სოჭი (Abies Nordmanniana), ნაძვი (Picca orientalis Cvor) სხვა და სხვა ჯიშის მუხა, წაბლი, რცხილა, წიფელა, შავი მურყანი (თხმელა).

ამ სამრეწველო რაიონში შედის 42 აგარაკი, რომელთაგან შემდეგი ყოფილი სახაზინო აგარაკია:

	დესეტ.
ჯამბალ-ამტყალის აგარაკი	49,010
ჩხალტის — —	37,531
სეჭენის — —	37,257
დალის — —	22,163
გრამგის — —	15,527
კარნაუთის — —	900
წებელდის — —	2,202
კერძო მესაკუთრეთა აგარაკ.	13,913
სულ	178,503

ყველა აგარაკებში წიწოვანი ტყეს უკავია 37,846 დესეტ. სივრცე, ფოთლოვან ტყეს 140,658 დესეტ. აგარაკები მოუწყობელია, ტყის შემადგენლობა ასეთია: ზედა სარტყელში ფიჭვს უჭირავს 0,9, ნაძვს—0,1. წლოვანება 60,—150—250 წელი. მარაგი ყოველ დესეტინაზე 60—80 საჟენი. სისქე 0,7. მეურნეობის ტრიალი—60 წელი.

საალმშენებლო ხე-ტყის რაოდენობა 80 პროცენტია, შეშისთვის გამოსადეგი 20 პროც. შუა და ქვედა სარტყელი უკავია ფოთლიან ტყეებს, რომელთა შემადგენლობაში შედის 7 წიფელა და რცხილა, 1-დან 2 დე წაბლი და 1—2-დე მურყანი, ცაცხვი, ნეკერჩხალი, თელა სხვა და სხვა აგარაკზე სხვა და სხვა რაოდენობით ჰხარობს. მუხას უჭირავს ქედის სამხრეთ-ფერდობები, ანუ პლატო. წლოვანება 50—100—110, სისქე—0,6. მარაგი 40 საჟ. დესეტინაზე; 70 პროც. საალმშენებლო მასალა, თუ ვიანგარიშებთ მომწიფებულ წიწოვანი ხის გავრცელების სივრცეს 20,000 დესეტ., ხოლო ფოთლოვანი ტყისათვის 80,000 დესეტ. მაშინ საექსპლოატაციო და გამოსადეგი ხე-ტყე მთელ აგარაკში იქნება:

	კუბ. ფუტებში
წიწვოვანი	308,000,000
ფოთლოვანი	616,000,000

შეშა როგორც ფოთლოვან, ისე წიწოვან ტყიდან—38,100 კუბ. საჟ.

მოყვანილი ციფრები ამტკიცებენ ამ რაიონის საალმშენებლო ხე-ტყის სიუხვეს.

საქმე მხოლოდ ამ მარაგის გამოყენებაშია, რადგან ნაწილობრივი ექსპლოატაცია დიდ ნაყოფს ვერ მოგვცემს, როგორც ეს არა ერთხელ გვიჩვენა გამოცდილებამ. (მაგ. ტყის მრეწველ მაქსიმოვის დამუშავებამ).

დიდი ნაყოფი წარსულ ექსპლოატაციას არ მოუცია მიტომ, რომ მთელი ხის მასალა სავსებით არ მუშავდებოდა.

ხოლო თუ გამოყენებული იქნება წყლის ენერგია (თეთრი ნახშირი) ქიმიური და მექანიკური ქარხნების ასამუშავებლად ხე-ტყის დამუშავების მიზნით, შესაძლებელი გახდება არა მარტო დახერხილი ფიცრების დამზადება, არამედ ქაღალდის, ცელულოზის, ბურბუშლის ქაღალდის, ხის ძმარის, სპირტის და სხვა ქიმიურ პრეპარატების, ავეჯის, ფანერის დამზადებაც. ერთი სიტყვით, ამ რაიონის ტყის მრეწველობა მეტად ფართე ხასიათს მიიღებს.

მსხვილი კაპიტალის მოსაზიდათ, ურომლისოდაც ამ რაიონში ტყის ექსპლოატაცია მოუხერხებელია და უაზროც, საჭირო იქნება ამ ტყეების იჯარით გაცემა იმ პირობით, რომ წარმოებულ იქნეს ტყის დამუშავება რაციონალური მეურნეობის მიხედვით და საქმის მექანიზაციის მეცნიერული დაყენებით.

ამ რაიონში დასამუშავებელი ბევრი რამ არის, რადგან გარდა წიწოვანი და ფოთლოვანი ხის მასალისა, აქ საკმაოდ იზრდება მეტად ძვირფასი ჯიშებიც, მაგ წაბლი, ურთხმელა (ტისსი).

ტყის რაიონში მეტად ხელსაყრელი კლიმატიური პირობების წყალობით, აქ შესაძლებელია გაჩაღება მთელ რიგ სხვა და სხვა წარმოებათა, რომელნი გამოაცოცხლებენ მრეწველობას და მთელ რიგ მხარეს საზღაპროთ ააყვავებენ

აქ შესაძლებელ წარმოებათაგან დავასახელებთ მხოლოდ თეთრ ნახშირს, რომლის ნაწილიც საჭირო იქნება ტყის საექსპლოატაციოთ, უდიდესი ნაწილი კი გამოყენებული იქნება აფხაზეთის სანაპიროების სხვა საჭიროებისათვის.

ამ რაიონის ზოგიერთი ადგილები, კლიმატიური პირობების მიხედვით, სავსებით გამოსაყენებელია სანატორიუმების, კლიმატიური სადგურების მოსაწყობად და ტურიზმის განსავითარებლად. ძვირფასია ეს ადგილები თამბაქოს კულტურისათვისაც.

დასასრულ ტყის რაიონის მიწის წიაღი ინახავს მრავალ მადნეულს, რომლის კვალიც, კაი ხანია, მიგნებულია.

პროფკავშირებში

ს. პ. ძ ს. სატარიფო-საეკონომიო განყოფილება.

პასუხისმგებელ მუშაკთა და „სპეცთა“ ფონდი.

როგორც გამოირკვა, პასუხისმგებელ მუშაკთა და „სპეცების“ ხელფასის ფონდი მიზანშეუწონლად ნაწილდებოდა. განყოფილებამ წინადადება მისცა კავშირს წარმოუდგინოს სატ.-საეკონომიო განყოფილებას პასუხისმგებელი მუშაკების და „სპეცების“ საკვალიფიკაციო უწყებები მათი განრიგებისა და ჯამაგირების გადასასინჯავად.

განათლების მუშაკთა ხელფასი.

სატ. საეკონომ. განყოფილებამ მოიწონა განათლების მუშაკთა კავშირის მიერ ახლად მიღებული დებულება, რომლის თანახმად ხელფასის ფონდი სახელმწიფო მომარაგებაზე დატოვებულ მუშა მოსამსახურეთა შორის უნდა განაწილდეს თავისი პირდაპირი დანიშნულებისამებრ, რაც ამდენ ხანს არ ხდებოდა, კავშირს წინადადება მიეცა გაატაროს ახალი დებულება აგვისტოს ჯამაგირების ფონდის განაწილების დროს.

საქ.-სასანიტარო მუშაკთა კავშირის მუშაობის გეგმა

საქ. სასანიტ. მუშაკთა კავშირის მუშაობის გეგმა სატ.-საეკ. დარგში განყოფილებამ მიიღო შემდეგი შესწორებით: სატარიფო შეთანხმების მაგიერ ჯან კომ-თან და საკურორტო სამმართველოსთან უნდა დაიდვას კოლლექტ. ხელშეკრულება.

ა. კავკასიის პროფესიონალურ კავშირების ყრილობა.

სრულიად რუსეთის პროფკავშირთა ცენტრალურ საბჭოს ამიერ-კავკასიის ბიუროს სამდივნოს დადგენილებით პროფკავშირების ყრილობა მოწვეულ იქნება ოქტომბერში.

ვუშველოთ საბურთალოს

როგორც მოგეხსენებათ, ტფილისის ერთ-ერთი უბანი, ეგრეთწოდებული საბურთალო, ითვლება მე-13-ე უბნათ. ეს უბანი თითქმის ყველაფერში უბედურია. მიუხედავათ იმისა, რომ მისი მდებარეობა თითქმის ყველა სხვა უბნებზე უკეთესია: მაღლობი ადგილი, რკინის გზის სადგურის სიახლოვე შუა უბანში მიდის სამხედრო გზა, რომელიც შეიძლება თამამათ ჩაითვალოს ტფილისის ერთ-ერთ მთავარ მკვებავ არტერიათ, ირგვლივ ბაღ ბოსტნებით და სხვა. მაინც არ იქნა, და არაფერი ეშველა მას. ერთად ერთი ბედნიერება, რომელიც ამ უბანს აქვს, სხვასთან შედარებით, არის უფასო საექიმო დახმარება და წამლობა. მაგრამ ეს ნიშნავს ადამიანი სიკვდილზე მიაყენო და შემდეგ სული უბერო და თან ელაპარაკო ნუ გეშინია, გამაგრდიო...

წინანდელმა უყურადღებობამ ეს თითქმის საგარეკო კუთხე დააჭაობა, გავრცელდა მალარია, რომელმაც სანახევროთ გაანადგურა მცხოვრებნი, უმრავლესობა დაყვითლებული და მუცელ დაბერილი არის და განუწყვეტელი წამლობა სჭირდებათ.

ალაგ ალაგ გაყვანილია არხები ჭაობების ამოსაშრობათ, მაგრამ იმდენი დაბლობი ადგილია კიდევ დარჩენილი, რომ ყოველ წვიმის დროს ტბები სდგება, როგორც სახლების წინ, აგრეთვე მინდვრებში. ასეთ ადგილებში სწარმოებს მაზუთის მოსხმა რომ მალარიის გამავრცელებელი კოღოები არ გამოიჩეკონ, მაგრამ ისინი მაინც ბუდობენ აქა-იქ. ამის შედეგია ის, რომ ციებიანი ავადმყოფთა რიცხვი თანდათან მატულობს ამბულატორიაში ამ ბოლო დროს. მცხოვრებლები კი, რომელთაც შეუძლიათ გარბიან აქედან სახლები ინგრევა და იყიდება მასალათ, ასე რომ საბურთალო, რომ დაიარო კაცმა და დაათვალიეროს გულდასმით, ნამდვილათ მოგეჩვენება, თუმცა აქ ერთი ყუმბარაც არ გავარდნილა არასოდეს.

ყოველი ქალაქი იზრდება მით, რომ პერიფერიებში თანდათან სახლდება ხალხი, აქედან კი გარბიან ვისაც შეუძლია წასვლა. ეს ხდება განა იმიტომ, რომ საბურთალო ცუდი ადგილია ბუნებრივათ? არა,—საბურთალო, როგორც ზევით მოგახსენეთ, საუკეთესო კუთხეა ქალაქის პერიფერიებში, მაგრამ მეტათ მოუწყობელია. ამ უბანში სცხოვრობს უფრო მეტათ მუშა-მოსამსახურენი და მეწის მუშები. ყველა მათგანი ცენტრზეა დამოკიდებული, რადგან იქ მუშაობენ, იქ მსახურობენ და იქ გააქვთ თავიანთი ჭირნახული გასასყიდათ. მაგრამ სანამ ისინი მიაღწევდენ დანიშნულ ადგილს და შემდეგ შინ დაბრუნდებოდნენ სამ-ოთხი საათი გზას უნდა მოანდომონ და ენერგია ხომ იმდენი უნდა დაკარგონ რომ ერთი დღის დანაკარგს ორ-სამ დღეს ვერ აინაზღაურებენ, მით უმეტეს დღევანდელ კვების პირობებში. რაც შეეხება თეატრს, ლექციას და სხვა ასეთ სულიერ საზრდოს, ხომ, რა თქმა უნდა, აქაური მცხოვრები თითქმის მთლათ მოკლებულია სიშორის გამო.

ამასთან არ შემიძლია არ აღვნიშნო ის უმწეო მდგომარეობა, რომელსაც აქ მცხოვრებნი განიცდიან უწყლობითაც. ეს უბანი სივრცით უდრის თითქმის 4—5 ოთხკუთხ ვერსტს, მცხოვრებნი გაფანტული არიან აქა იქ და არის მხოლოდ ორი წყალსადენი ქოხი. ამ ქოხებს ზოგიერთი მოქალაქე დაშორებულია თითქმის ორი ვერსტის მანძილით და აქედან ადვილი წარმოსადგენია, თუ რა პირობებში იქნებიან ისინი ამ მხრივ.

ფეხის ადგილები სანახევროთ არ მოიპოვება და ხშირია ისეთი სურათები მინდვრებსა და სახლების უკან, რომლებიც მაყურებელთა თვალში ერთის მხრივ სიცილს იწვევენ და მეორე მხრივ კი ტირილს.

რადგანაც შევეხე სანიტარიას, აქვე მინდა ვსთქვა აბანოს შესახებაც. დღეს ყველასათვის ცხადია, რომ ტანის სისუფთავეს პირველი ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში. აქაური მცხოვრებნი კი იმდენათ დაშორებულნი არიან ქალაქის აბანოებს, რომ უმრავლესობას უდროობის მიზეზით არც კი შეუძლია იფიქროს თავის დროზე ტანის დაბანაზე.

მცხოვრებლები დიდ გაჭირვებას განიცდიან, აგრეთვე კოოპერატიულ დუქნისა და ხორცის უქონლობის გამო ამ უბანში. მუშა-მოსამსახურეები კი მიდიან ყოველ დღე ქალაქში თავიანთ სამუშაოზე, მაგრამ დილით რომ იყიდოს ხორცი ან სხვა რაიმე სანოვაგე და სამუშაოზე წაიღოს ვინ გაუკეთებს, გამობრუნებისას კი რომც იშოვოს, სანამ მიიტანდეს და გააკეთებდეს, ამდენს კუჭი ან სხვა საქმე როდი აცლის.

ჩამოვთვალე რა მოკლეთ ამ უბნის ზოგიერთი უმთავრესი ნაკლი, მინდა შევეკითხო პატივცემულ მკითხველს, მიიზიდავს ასეთი უბანი ხალხს საცხოვრებლათ, თუ არა? ჩემის ღრმა რწმენით შემიძლია ვსთქვა, რომ ვერ მიიზიდავს და აქედან ადვილი ასახსნელია ის მოვლენა, რომ მცხოვრებნი გარბიან და საბურთალო [illegible] ნანგრევებ[illegible].

ყველა ამის შემდეგ კიდევ ვეკითხები პატივცემულ მკითხველს, სასარგებლო იქნება ქალაქისათვის საბურთალოს დანგრევა თუ საზარალო? აქვე შემიძლია ვუპასუხო, თვით მკითხველი რომ არ გავასწრო, რომ **მეტის მეტი საზარალო იქნება**, რადგან მე მგონია, რომ მხოლოდ საბურთალოს მხრივ უფრო მოხდენილი იქნება ქალაქის ზრდა და აყვავება.

რა არის საჭირო ამისათვის!

1. წყალ ადენ ქოხების გამრავლება.
2. ხიდის გაკეთება საბურთალოსა და დიდუბეს შუა.
3. ტრამვაის გაყვანა (მარშრუტი: სადგური — საბურთალო — თავის. მოედ.)
4. კანალიზაცია.
5. აბანო.
6. განათება.
7. კოოპერატიული დუქნის გახსნა, რომელშიც იქნება აუცილებელი სურსათ სანოვაგე.

აი უმთავრესი მუხლები, რომელთა დაკვრითი წესით მოგვარება, რაც ჩვეულებას შეადგენს დღევანდელ ჩვენი ხელისუფლებისას, შექმნის ისეთ პირობებს, რომ საბურთალო ცოტა ხნის განმავლობაში მეტს შესძენს ქალაქს, ვიდრე ის მასზედ დახარჯავს. მაშინ ეს კუთხე გადაიქცევა ნამდვილ მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელ ადგილათ. ამით სხვათაშორის ხელს შევუწყობთ აღმოფხვრათ ხალხში ის ცრუ რწმენაც, ვითომც „13“ რიცხვი უბედური იყოს.

საბურთალოს ექიმი **ვ. ჩხეიძე.**

მეტყავეთა კავშირში

მეტყავეების მე-3-ე ყრილობა.

საქართველოს მეტყავეთა კავშირის მე-3-ე ყრილობა გაიხსნება 20 სექტემბერს. წარმომადგენლობის წესი—ასეთია: 30 ამომრჩეველთაგან 1 წარმომადგენელია.

სამაზრო განყოფილებათა დათვალიერება.

მეტყავეთა კავშირმა გადასწყვიტა გაგზავნოს 2 პასუხისმგებელი მუშა პროვინციაში სამაზრო განყოფილებათა მუშაობის დასათვალიერებლად. ხარჯების დასაფარავათ კულტ.-განყოფილება მართავს საღამო-კონცერტს.

დახმარება უმუშევრებს.

მეტყავეთა კავშირმა უმუშევრებისათვის დასახმარებლად გადასდო: ოჯახიანი უმუშევრებისთვის—3 მილიონი მანეთი უოჯახოსთვის—ორ მილიონ ნახევარი.

ტრამვაის ახალი ხაზი ფუნიკულიორამდე

ამ რამოდენიმე ხნის წინეთ პრესაში და საზოგადოებაში ტრიალებდა ის აზრი, თითქო ტრამვაის ახალი ხაზის გაყვანა ფუნიკულიორამდე არის საზარალო და სრულიად უსარგებლო, რომ ეს ხაზი სრულიად გამოუსადეგარია მცხოვრებლებისათვის და სხვა.

ჯერ ფუნიკულიორის სეზონი არ დამთავრებულა, მაგრამ ციფრებით ხელში ეხლაც შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ ეს ხაზი არის მეტად სასარგებლო და მის გაყვანას მოითხოვდა რეალური ინტერესები

მთელი ზაფხულის სეზონში შარშან ფუნიკულიორზე ასულა მხოლოდ 43012 სული. წელს—კი, როცა ფუნიკულიორი შეერთებული იქმნა ტრამვაის ხაზთან, **მხოლოდ ივნისში და ივლისში ასულა ფუნიკულიორზე—44147 პირი.**

ახალი ხაზის მუშაობა დაიწყო წელს 28 ივნისიდან.

ივნისში ფუნიკულიორზე ასულა მხოლოდ—17.615 სული.

ივლისში—კი ახალი ხაზის ინტენსიურად მუშაობის დროს—26.532 სული, ე. ი. ამ ხაზმა გაადიდა ფუნიკულიორის პასაჟირთა რაოდენობა ივნისთან შედარებით—50 პროც.

მართალია, ივლისში სიცხეების გაძლიერების გამო, ისედაც უნდა გადიდებულიყო მგზავრთა რიცხვი, მაგრამ თუ ავიღებთ მთელ შარშანდელ წელს და შევადარებთ მარტო ორ თვეს 1923 წლისა, დავინახავთ, რომ ამ ორ თვეში მეტი ყოფილა მგზავრთა რიცხვი, ვიდრე მთელ სეზონში შარშან.

აქედან აშკარაა, რომ ტრამვაის გაყვანამ ფუნიკულიორამდე, მოუმატა ფუნიკულიორს მგზავრთა რაოდენობა და ამით ფუნიკულიორის წარმოება დაწინაურდა.

როგორია ახლა ფუნიკულიორის **შემოსავალი.**

1922 წელს, ოქროზე გადატანით, ფუნიკულიორის შემოსავალი უდრიდა ივნისში და ივლისში—3.118 მ. 56კ.

ამავე თვეებში 1923 წელს კი შემოსულია ფუნიკულიორს—4.443 მან. 35 კ. ე. ი. შემოსავალს მოუმატია 1.324 მან. 80 კაპ. ან 42,4 პრ.-ით.

ამნაირად ამ ორ თვეში ფუნიკულიორმა ზედმეტი შემოსავლით თითქმის სრულებით აანაზღაურა ის ხარჯი, რაც გაწეული იყო ამ ხაზის გაყვანაზე.

თუ შევადარებთ ფუნიკულიორისა და ტრამვაის წრევანდელ შემოსავალს შარშანდელთან, მივიღებთ ასეთს სურათს:

	1922 წ.	1923 წ.
ფუნიკულიორიდან შემოსულა:		
28 მაისიდან—28 ივნისამდე	148,520,000 მ.	3,040,120,000 მ.
28 ივნისიდან—28 ივლისამდე	184,275,000 მ.	6,925,250,000 მ.
ტრამვაიდან შემოსულა:		
28 მაისიდან—28 ივნისამდე	6,255,630,000 მ.	90,008,000,000 მ.
28 ივნისიდან 28 ივლისამდე	6,544,685,000 მ.	110,232,000,000 მ.

ფუნიკულიორის შემოსავალი შეადგენდა ტრამვაის მთელ შემოსავალთან შედარებით:

ივნისში	2,3 პროც.	3,2 პროც.
ივლისში	2,8 პროც.	6,8 პროც.

აი ამდენად გაადიდა ახალმა ხაზმა ფუნიკულიორის შესოსავალი—2,8 პროც.-დან 6,8 პროც.-მდი.

ეხლა საინტერესოა გავიგოთ, თუ რამდენად მოემატა მგზავრთა რიცხვს ამ ახალი ხაზის გაყვანის შემდეგ ტრამვაის ყველა იმ ვაგონებზე, რომლებიც მოდიან თავისუფლების მოედანზე:

გასული წლის ივნის—ივლისის განმავლობაში ტრამვაის ყველა იმ ვაგონებზე, რომლებიც მოდიან თავისუფლების მოედანზე მგზავრთა რიცხვი უდრიდა 1093687 კაცს, ხოლო მიმდინარე წელში იმავე ვაგონებზე ივნის—ივლისის განმავლობაში მგზავრთა რიცხვი უდრიდა 1,363,397 ე. ი. მოუმატნია 269,710 კაცით ან 24,6 პროც, რაც ფუნიკულიორის წარმოების გაძლიერებას უნდა მიეწეროს.

მუშაობა თვით მარშრუტის № 15, რომელიც გაყვანილ იქნა ამჟამად ფუნიკულიორთან, გამოიხატა შემდეგში.

საშუალო დღიური შემოსავალი ამ მარშრუტისა 28 ივნისიდან 1-ელ აგვისტომდე უდრის 45 მილიონს მაშინ, როცა საშუალო დღიური შემოსავალი მარშრუტის მთელ ხაზზე ამდროის განმავლობაში მოდის 37,085,000 მან. ერთ საათში საშუალოდ მარშრუტი № 15 იძლევა 5 მილიონს, დანარჩენი მარშრუტები კი საერთო ხაზიდან—4,6 მილ.

აქედან აშკარად სჩანს, რომ ახალი ხაზი არ ყოფილა საზარალო თვით ექსპლოატაციის მხრითაც.

ფუნიკულიორთან გაყვანილ ახალი ხაზის ერთი თვის მუშაობამაც—კი დაგვიმტკიცა, რომ ჩვენი ანგარიში სწორი გამოდგა.

ამ ხაზმა გაუდიდა შემოსავალი როგორც ფუნიკულიორს, ისე ყველა იმ მარშრუტებს, რომლებიც მოემართებიან თავისუფლების მოედნისაკენ.

როცა ეს ახალი ხაზი გაგვყავდა ფუნიკულიორამდე, ალმასკომის ამოცანა იყო:

1. გაეძლიერებია ფუნიკულიორის წარმოება და დაეყენებია ის სათანადო დონეზე.
2. შეექმნა მცხოვრებთათვის ისეთი პირობები, რომ ადვილი ყოფილიყო მათთვის ფუნიკულიორით სარგებლობა ზაფხულში, ვინაიდან განსაკუთრებით ფუნიკულიორით სარგებლობენ ისეთები, რომლებთაც არა აქვთ საშუალება წავიდენ სადმე საგარაკოთ.
3. ამავე დროს თვით ეს ხაზი საექსპლოატაციო მიზნითაც სასარგებლო ყოფილიყო.

ყველა ეს მიზნები უკვე მიღწეულია.

ფუნიკულიორიდან დარჩენილი შემოსავალი, პრეზიდიუმს განზრახვა აქვს, მოახმაროს ფუნიკულიორის შეკეთებას, შენახვას და გაუმჯობესებას

ტფილ. ალმასკომის თავმჯდომარე **ლ. ხუხიშვილი.**

მუშათა ცხოვრება

მადლობა შემომწირველებისათვის

თბილისის რკინის გზ. ს საქონლის სადგურის მესამე იაჩეიკასთან არსებული საშეფო კომისია მადლობას უცხადებს ბათომის რკინის გზის საქონლის სადგურის მტვირთველ მუშებს, რომელთაც არ დაიშურეს და შემოსწირეს ას შვიდი (107) მილიონი მანეთი ბუკის-ცხის, ქვემო და ზემო ირკეთის და ხევის თემებს მათ კულტურულ და ეკონომიურ მდგომარეობის გასაძლიერებლად. უღრმეს მადლობას ვუცხადებთ გიორგი შარაშიძეს, მიხაკო თევდორაძეს და ევტიხი მდინარაძეს, რომელთაც თავიანთ ინიციატივით არ დაიშურეს შრომა და მხურვალე მონაწილეობა მიიღეს ზემოაღნიშნულ შემოწირულების შეკრებაში.

საშეფო კომისიის თავმჯდომარე ნ. კობიძე.
მდივანი პ. ჩხიკვაძე.

ჩვენი მუშების კავშირი გლეხებთან

როგორც მკითხველებს უკვე მოეხსენებათ, ლითონის განყოფ. ქარხანა—სახელოსნოების მუშებსა და სოფელ „ოლგინსკოე“-ს და „დიდ-ლილო“-ს გლეხობათა შორის შეიქმნა მტკიცე კავშირი. ჩვენი კომუჯრედი უკვე პრაქტიკულათ ანხორციელებს ასეთ ძმურ-ამხანაგურ კავშირს გლეხსა და მუშის შორის. კომუჯრედი მიზნათ ისახავს დააკმაყოფილოს სოფლის მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღებით, მოაწყოს სოფლად სამჭედლო-სახელოსნო, მიაწოდოს სოფელს სათანადო სამჭედლო იარაღი. ამ ერთი კვირის წინედ ლითონის განყოფ. კოლეგიამ უკვე გაუგზავნა სოფელს სანიავებელი, რასაც გლეხები აღფრთოვანებით მიეგებნენ, მოთხოვნილებისამებრ გაიგზავნება სხვა ნაწილებიც; მელითონეები ამ შემთხვევაში არ ზოგავენ არც ხარჯს და არც ენერგიას, რათა ააყვავონ სასოფლო-მეურნეობა და აღადგინონ სოფლის მდგომარეობა მანქანა-იარაღების მიწოდებით. დიდ-ლილოში მოწყობილია კლუბი, სადაც შეიძლება წარმოდგენების მოწყობა, ლექციების და სხ. გასართობების მოგვარება. ლითონის განყოფილებამ დიდ-ლილოს კლუბის საჭიროებისათვის უკვე გაუგზავნა ზოგიერთი მასალა, სახელდობრ სცენისათვის: კრასკა, ცარცი და სხ. წვრილმანი. კომუჯრედმა აღუთქვა სოფელს დახმარება კულტურულ დარგშიც, თავს იდვა მიწოდება ჟურნალ-გაზეთებისა და წიგნებისა. ქარხნის მუშები წაკითხულ გაზეთებს უგზავნიან სოფელს.

მუშკორი მელითონე.

თამბაქოს ტრესტის უსაირათობის ორი მაგალითი

(ს.ხ. მეურ. უმ. საბჭ და მუშ-გლეხ. ინსპ საყურადღებოდ)

არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს დღეს, რომ ჩვენ ტრესტს განსაკუთრებული ღონისძიებათა მიღება მართებს, რომ თავისი დანიშნულება მუშებისა და სახელმწიფოს წინაშე პირნათლად შეასრულოს და საერთო სამეურნეო აღმშენებლობაში თავისი წვლილი შეიტანოს.

მაგრამ, სამწუხაროდ, სინამდვილეში, ჩვენ, მუშები სულ სხვა სურათსა ვხედავთ. ტრესტს არ ემჩნევა სათანადო და საჭირო სამეურნეო ნიჭი და ყაირათიანობა.

მოვიყვან მხოლოდ ორ მაგალითს: ფაბრიკის კანტორებში, სადაც წინად სამი თანამშრომელი (მოხელე) საკმარისი იყო, ეხლა მათ ალაგას ხუთმეტს, ან მეტ დიდ კატეგორიან ხალხს მოუყრია თავი. ამათ ისე მოაქვთ თავი, თითქოს მართლაც აუარებელი საქმეები აყრიათ თავზე. ასეთ შეცდომაში იმათ ძალიან მოხერხებულად შეჰყავთ ყველა.

საჭიროა ამ „ფოკუსობას“ ბოლო მოეღოს და ზედმეტი ბარგიდან ტრესტი საჩქაროთ განიტვირთოს.

მეორე მაგალითი: ფაბრიკებში მუშაობის დროს მემანქანეები ძალიან ბევრ, ცოტათი დაზიანებულ პაპიროსს, ან გილზს, სანაგვე ყუთში ჰყრიან, როგორც უვარგისს. საჭიროა ასეთ მოვლენას, რომლის დაუშვებლობა უკვე იყო ერთხელ აღნიშნული პრესაში, ბოლო მოეღოს და დაზიანებული საქონელი შეკეთდეს და გამოყენებულ იქნეს.

მოვაგონებ ტრესტს, რომ ძველი დროისებური საშუალებათა ფანტვა—დღეს ყოვლად დაუშვებელია მხოლოდ უკიდურესი ყაირათიანობა იხსნის მას დაღუპვისაგან და წამოაყენებს ტრესტს ფეხზე.

მეთამბაქო მუშა გიგო აკოფოვი.

მუშების მახე

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

ამხ. ლ. დუმბაძის ქ. № 20-ში არის ერთი საწვრილმანოს დუქანი. არავითარი ნებართვა მას არა აქვს ღვინით და არყით ვაჭრობისა, მაგრამ რა დროსაც გინდათ გაიაროთ, იმის დუქანი ყოველთვის სავსეა ხალხით და ის სწორედ ახალი „ცნობის მიმწოდებელი ბიურო“ გეგონებათ. ვისაც გინდათ, ნახავთ ამ პატარა „ხუხულა“-ში—მაგალითად, აქ იპოვნით მოსამართლეს, ადგილკომს, და და მეტადრე ასოთ-ამწყობებს. როდესაც დაღალული მუშა გამოდის სამუშაოდან და მიდის სახლში, მას გზაზე ხვდება ეს ღვინის სარდაფი; ის თავს ვერ იკავებს, შედის სარდაფში და მთელ თავის შრომის ხელფასს ის აქ სტოვებს.

ამ ქუჩაზე ბევრია მუშათა სახლები და საუბედუროდ, უნდა ითქვას, რომ ეს დუქანი სწორედ მახეა აქაურ მუშების. თუ მას აქვს ფული, ხომ ხარჯავს აქ ნაღდად, თუ არა აქვს, მაშინ ნისიად მიაქვს. მუშის ოჯახი მშიერ-მწყურვალე რჩება; ბოროტი მეღვინე კი ჯიბეს ისქელებს. იმის მაგივრად, რომ დაღალულმა მუშამ დაისვენოს სახლში, ის თვრება იქ, ღუპავს თავის ცოლ-შვილს და თავის-თავს. ამიტომ ასეთი სიავის მთესველი და მუშათა ბედნიერების გამანადგურებელი დუქნები, დაუყოვნებლივ უნდა დაიკეტონ და მათი პატრონები უნდა იქნან ალაგმულნი.

საჭიროა, ამ გარემოებას მიექცეს აღმასკომის ყურადღება და ეს დუქანი დაიკეტოს.

მუშკორი ასოთ-ამწყობი.

უვარგისთა საქმეზე გაგზავნა დაუშვებელია

(შრომის ბირჟის საყურადღებოდ)

შემჩნეულია, რომ თბილისის შრომის ბირჟა აგზავნის ყანის სამუშევრებზე ისეთ უმუშევრებს, რომელთაც ან არაფერი გაეგებათ ასეთი სამუშაოსი, ან და ფიზიკურად არა შემძლე არიან. ამის გამო ხდება ის, რომ სამუშაოზე წასული უმუშევრები, ჩქარა ბრუნდებიან უკან და მათ მაგიერ კი ისევ იგზავნება ისეთივე გამოუსადეგარი ელემენტი. ეს გარემოება უსათუოდ აფერხებს, როგორც უმუშევრობის საკითხს, აგრეთვე თვით ბირჟის მუშაობას. საჭიროა, უმუშევრები—საქმეზე გაგზავნამდე ტარდებოდნენ საექიმო კომისიაში.

მუშა-ბახშო

მუშათა ქრონიკა

— **ახალი მუშათა სამკურნალო.** მუშათა შორის ფილტვების ავადმყოფობასთან საბრძოლველად განზრახულია გაიხსნას დისპანსერი (უფასო სამკურნალო დაწესებულება) ორთაჭალაში, ყოფ. მირზოევის სახლში.

— **სანიტარულ განათლების სახლის გახსნა.** რუსეთის ჯანმრთელობის სახალხო კომისრის ამხ. სემაშკოს ჩამოსვლისას განზრახულია სან.-განათლების სახლის საზეიმო გახსნა.

— **ახალი სამკითხველო მუშებისთვის.** ივანგულოვის ქუჩაზე № 12 სანიტარულ განათლების სახლში გაიხსნა უფასო სამკითხველო მუშებისათვის.

ქრონიკა

— **ქართული ენის შესასწავლათ.** ამ დღეებში რკინის გზის რაიონში გაიხსნება ქართული ენის კურსები ქართულის არა-მცოდნე რკინისგზელებისათვის. მსურველები ამ თავითვე უნდა ჩაეწერონ რკინისგზის ადგილკომში კურსებზე ჩასარიცხათ

— **პურის შემოზიდვა.** გზათა სახალხო კომისარიატმა ა.-კ. რკ. გზის განკარგულებაში გადასდო 50,000 ჩერვონეცი ვაგონების შესაკეთებლათ პურის მომავალ საექსპორტო კამპანიის ჩასატარებლათ.

— **ნედლი ტყის საშრობი ქარხანა.** რკინისგზის სამმართველომ ტყის ნედლი მასალის გასაშრობი სახელოსნოს ასაშენებლათ გადასდო 2,300 მანეთი ომამდე არსებული კურსით.

— **ახალი ნიხრი.** სამეურნეო უმაღლეს საბჭომ დაამტკიცა ახალი ნიხრი საზომ-საწონზე.

— **ბრძოლა ჭლექის წინააღმდეგ** 14 აგვისტოს ბორჯომში წაკითხულ იქნა საჯარო ლექცია ჭლექის გაჩენისა და მის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ლექციის დროს აჩვენებდენ სანიმუშო სურათებს.

— **წითელი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ.** ქუთაისის რკინისგზის მუშა მოსამსახურეებმა დაადგინეს წითელი საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ გადასდონ თვეში თითო დღის ხელფასი სამი თვის განმავლობაში.

— **ბატარეები შეჯიბრება.** კავკასიის ცალკე არმიამ თავის დღესასწაულის დღეს მოაწყო ბატარეების შეჯიბრება სხვადასხვა საარტილერო საქმეში. შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებდენ აგრეთვე ქართული ჯარის ნაწილები. ქართულმა საარტილერიო დივიზიონმა 15 საერთო პრიზიდან მიიღო შვიდი პირველი პრიზი.

— **თოვლი ბაკურიანში.** როგორც აგარაკ ბაკურიანიდან ჩამოსულები გადმოგვცემენ იქ უკვე მოსულა თოვლი. დანარჩენ აგარაკებზედაც ცუდი ამინდებია, რის გამო განზრახულია საგარაკო სეზონის ადრე შეწყვეტა.

— **ოზურგეთ ნატანების რკინისგზა.** ოზურგეთ-ნატანების რკინისგზის გაყვანა თითქმის სრულებით დამთავრდა. მცხოვრებლები მოუთმენლად ელიან მატარებლის პირველ სანიმუშო მიმოსვლას.

— **მბეჭდავთა კლუბში.** კვირას, 19 აგვისტოს მბეჭდავთა კლუბში წარმოდგენილი იქნება მბეჭდავთა კავშირთან არსებული დრამატიული წრის მიერ გ. სუნდუკიანცის კომედია „პეპო“.

— **კონტრაბანდის დაჭერა.** ბათომის მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაიჭირა 30 ფუთი საქარინა, რომელიც კონტრაბანდისტებს მოჰქონდათ ტფილისში. შეპყრობილ იქნა 6 კაცი, ერთი ბოროტმოქმედთაგანი საქციზო უწყების მოსამსახურე ერისთავი მიიმალა.

— **წერა კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია.** მიწა ტყის კავშირის კულტგანყოფილებამ ტფილისის ბოტანიკურ ბაღსა და მიწად-მოქმედების კომისარიატთან არსებულ სკოლებში მოახდინა გამოცდები. სკოლა დაამთავრა 22 კაცმა.

— **საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ.** სამხედრო ხე-ტყის ქარხნის მუშებმა საჰაერო ფლოტის სასარგებლოთ შეკრიბეს 50 მილ. მანეთი.

— **დახმარება ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლას.** ქალაქის აღმასკომმა ქართულ შეერთებულ სამხედრო სკოლას დახმარების სახით გადასცა 250 მილ. მან. კავკასიის ცალკე არმიის 5 წლ. დღესასწაულში მონაწილეობის მიღების გამო გაწეულ ხარჯების დასაფარავათ.

— **აღმასკომის სავალდებულო დადგენილებათა და განკარგულებათა კრებული.** აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაავალა ამხ. ახვლედიანს რუხაძეს და ჯუღელს შეკრიბონ აღმასკომის ყველა ბრძანებები და სავალდებულო დადგენილებანი რომლებიც დღემდე ძალაში შედიან და გამოსცენ ცალკე კრებულით.

— **დახმარება ღარიბებს.** სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატის შუამდგომლობის თანახმად აღმასკომის მცირე პრეზიდიუმმა დაადგინა სოც. უზრ. სახ. კომისარიატს ყოველთვიურათ ეძლიოს 2069 მან. ჩერვონცებით, ღარიბებზე დასარიგებლათ.

— **ანგარიშების წიგნი.** აღმასკომმა დაადგინა სამ თვეში ერთხელ გამოსცეს აღმასკომის ანგარიშები ცალკე წიგნათ.

— **გადასახადი წყალზე.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა შეიმუშავოს დებულება ინვალიდების, უმუშევრების და სხ. წყალის გადასახადისაგან სრულებით განთავისუფლების შესახებ.

— **უმუშევრები.** 14 აგვისტოს აღრიცხვაზე გამოცხადდა 886 უმუშევარი, ახლად ჩაეწერა—122, ამავე დღეს სამუშაოზე გაიგზავნა—58 კაცი.

აგრონომების საჭიროება სოფლად

(წერილი გორის მაზრიდან).

ყველასათვის ცხადია, რომ საქართველო უაღრესად სასოფლო-მეურნეობის ქვეყანაა და მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მიწის მუშებია; ფაბრიკა-ქარხნები ძალიან ნაკლებათა გვაქვს ჩვენდა სამწუხაროდ, უკანასკნელთა დაარსება ამ მოკლე ხანში და სამრეწველო პროლეტარიატის შექმნა წარმოდგენს დიდს და ძნელ საქმეს. მაშასადამე ჩვენ უმთავრესად საქმე გვაქვს გლეხობასთან და ჩვენი ყურადღებაც მისი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებისთანავე მიწა გადაეცა მიწის მუშას; ამით უმთავრესი საქმე გაკეთდა, რამდენადაც კი შეიძლებოდა საბჭოთა ხელისუფლებამ მიწით დააკმაყოფილა ღარიბ-ღატაკი გლეხობა, მაგრამ ეს საკმაო არ არის.. არ შეიძლება ითქვას, რომ გლეხს მეტი აღარა უნდოდეს რა, რომ მიწის რეფორმა საკმარისია მათი ბედნიერებისათვის.

ჩვენ ამასთან ერთად უნდა შევიჭრათ მის კარჩაკეტილ ცხოვრებაშიც და ვაიძულოთ იგი აკეთოს ის, რაც მისთვის საჭიროა, რაც მას მეტ ნაყოფს მისცემს, რაც ააყვავებს მის მეურნეობას და ცხოვრებას.

მარტო სიტყვებით, აგიტაცია პროპაგანდით, ლექციების კითხვითაც მაინცა და მაინც, დიდს საგრძნობელ შედეგებს ვერ მივიღებთ. ყოველივე ამას, რასაკვირველია, აქვს მნიშვნელობა, მაგრამ საჭიროა უფრო რადიკალური ზომები. უნდა დავანახოთ გლეხობას უპირატესობა მიწის კულტურული დამუშავებისა. უნდა ძალაუნებურათ ჩავითრიოთ გლეხობა ასეთ მუშაობაში და რაკი ის ერთხელ იგემებს ნაყოფს, შეადარებს ძველი წესით დამუშავებას ახალ და იოლ წესებთან, ის სიკვდილს ირჩევს და არ დასთმობს ახალ გზას. მხოლოდ ეს არის საჭირო, ცოტა მწარედ მეჩვენა პირველშია, მაგრამ ბოლოს მადლობა უთხარი მე“-ო სწორედ ასე მოხდება.

ამის მაგალითი ჩვენ გვაქვს; ავიღოთ გინდაც საქაშეთის რაიონი, ამ ჟამად იქ არ მოიპოვება ისეთი გლეხი, რომელიც არ მისდევდეს აგრონომების ჩვენება-დარიგებას და არ უვლიდეს თავის მამულს ისე, როგორც მოითხოვს რაციონალური აგრონომია. მართლაც ეს საქაშეთის რაიონი გასაკვირველი კუთხეა გორის მაზრისა, და თავისი „აგრონომიული შეგნებით“, თუ შეიძლება ეს ასე ითქვას, მან ბევრად გაასწრო უდიდესი გორის მაზრის დანარჩენ სოფლებს და თემებს.

უნებლიეთ იბადება საკითხი: რა მოხდა ამ მიყრუებულ ალაგას, რა იყო მიზეზი, რომ გლეხობამ შეიგნო თავის მამულისთვის გონივრული მოვლა პატრონობის საჭიროება, ან არა და ნუ თუ სოფ. საქაშეთის და მისი მიდამოების მცხოვრებლებს ყველას უდევთ ჯიბეში კურს დამთავრებული აგრონომების დიპლომები? ან საბაღოსნო სკოლის ატტესტატები?

არც ერთი და არც მეორე, ასეთი „სასწაულთ მომქმედი“ არის ჩვენი სასოფლო მანქანა იარაღების გასაქირავებელი პუნქტი და თავისი აგრონომიული ცოდნის გავრცელებაში დაინტერესებული აგრონომი. აი სწორედ ეს ორი ფაქტორია მიზეზი იმ შედეგების, რომლის შესახებაც ზევით ვსწერ. ჩვენდა სამწუხაროდ ის აგრონომი, რომელიც იყო ამ გასაქირავებელ პუნქტის გამგეთ აქ აღარა გვყავს, მაგრამ მის მიერ დაყენებული საქმე სცოცხლობს გლეხების საკეთილდღეოთ. ასეთივე პუნქტები ჩვენა გვაქვს კიდევ ორ სხვა ადგილას, მაგრამ ამ პუნქტებში მანქანა-იარაღები იმდენათ ნაკლებია და თუ არის ისე დამტვრეულია, რომ მათი მუშაობის გაფართოვება ვერ ხერხდება.

ერთი რამ ცხადია: თუ მაზრაში დავაარსებთ პუნქტებს, უზრუნველყოფთ მათ მანქანა-იარაღებით და ამავე პუნქტებში მივამაგრებთ აგრონომებს, რომელთაც უყვართ თავისი საქმე, ჩვენ მივაღწევთ მიზანს, შევაყვარებთ გლეხს აგრონომიას და დავავიწყებთ მას „მამა პაპურ ჩვეულებებს“. წესიერი მოვლა-დამუშავება მამულისა პირველ ყოვლისა ასარგებლებს თვით მასზე მომუშავეს და მერე კი, თავის თავად ცხადია, ეკონომიურ მდგომარეობას რესპუბლიკისას გააჯანსაღებს.

საჭიროა ის ყალბი შეხედულება, რომელიც აქნობამდე შერჩენია კიდევ ვისმე „ჩემი მამულია და რასაც მინდა და როგორც მინდა ისე მოვუვლი“-ო, ძირიან ფესვიანად იყვეს მოფხვრილი მასსის გონებიდან; მიწა წყალი ეკუთვნის რესპუბლიკას და იგი განაგებს მას არავის არ უნდა ჰქონდეს უფლება სახელმწიფო ქონების გაფლანგვისა და განადგურებისა. არავის არ მივცემთ ნებას, რომ მან მიწაში ნაგავი სთესოს ან კულტურული ბაღ-ვენახი გადააქციოს მინდვრად! ეს, რათაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევაგნებინოთ გლეხს და ავიძულოთ ის მოეპყრას იმ ქონებას, რომელიც ჩააბარა მას მუშურ-გლეხურმა მთავრობამ, რაც შეიძლება ფაქიზად, რაც შეიძლება სიყვარულით.

ზოგიერთმა შეიძლება მიპასუხოს, რომ „თავისი თავის მტერი არავინ არისო“ ეს მართალია, მაგრამ განა გლეხს ეს მეტი შეგნებით მოსდის, მას ყველა ახალი მიმდინარეობის ეშინია, ბოლოს და ბოლოს ის მეტად ინდიფერენტიული ელემენტია. საჭიროა მისი გამოღვიძება და ამისათვის, როგორც ზევით ვსთქვი, ჩვენ უნდა შევიჭრათ მის კარჩაკეტილ ცხოვრებაში, დაუხლოვდეთ და გამოვიყვანოთ ახალი ცხოვრების გზაზე.

რუსეთის კომ. პარტ. მე-12 ყრილობის ლოზუნგი „გლეხებთან დაკავშირების“ შესახებ ადვილი განსახორციელებელია აგრონომების საშუალებით.

თუ გადავხედავთ მაზრის აგრონომიულ ორგანიზაციებს, ჩვენ ადვილად დავრწმუნდებით, რომ ამ ფრთებშეკვეცილ და არარად ქცეულ ორგანოებს, ბევრის გაკეთება არ შეუძლიანთ; სურვილზე აქ არ ვლაპარაკობთ, ჩვენ ვამბობთ ფიზიკურ შესაძლებლობაზე. რის გაკეთება შეუძლიანთ ორ აგრონომს, კიდეც რომ ძალიან მოინდომონ, ისინი ყოველდღიურ მიმდინარე მიმოწერას ვერ აუვლიან და თვით ცოცხალი საქმისათვის ვერც კი მოიცლიან

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ინსტრუქტორების ინსტიტუტის არსებობა მიზანს ვერ აღწევს და გლეხებში მათ ვერ მოიპოვეს პოპულიარობა, გორის მაზრაში მაინც ზოგიერთი მათგანი მოევლინა გლეხებს „მოურავის“ სახით და ვერაფერი ვერ შესძინეს გლეხის ცხოვრებას. ჩემი წერილის მიზანი არ არის ინსტრუქტორების მუშაობას ანალიზი გაუკეთო, მხოლოდ, ვიმეორებ, ინსტრუქტორ ბმა გორის მაზრას დიდი სარგებლობა ვერ მოუტანეს და საჭიროა მათ ნაცვლად გამოცდილ და საქმით დაინტერესებულ აგრონომების დაგზავნა სოფლებში. თუ ერთმა და ორმა აგრონომმა გააკეთეს ისეთი დიდი საქმე, რომლის მოწმენიც ჩვენ ვართ: აუარებელი დაფანტული მანქანა იარაღების შეგროვება, მათი შეკეთება, ლექციების კითხვა და გლეხებთან საუბარი, მამულების მოვლა-პატრონობა და სხვა და სხვა.. ადვილი წარმოსადგენია, თუ რის გაკეთება შეეძლება ხუთსა და ექვსს აგრონომს.

ეს ისეთი სიმპატიური და უდიდესი მნიშვნელოვანი ორგანიზაცია იქმნება, რომლის ბადალიც მთელს მაზრაში არ მოიპოვება! დიდი ხანია ისმის, რომ აგრონომები უნდა დაუახლოვდენ ხალხს, არა იმ ხალხს, (რომელნიც სტკეპნიან ისედაც კარგად დატკეპნილ რუსთაველის პროსპექტს) გაითქვიფონ გლეხთა მასსაში და გაიზიარონ მათი ავკარგი, მაგრამ პრაქტიკულად კი აგრონომები ტფილისს არ სცილდებიან და გლეხები და საერთოდ სოფელი უპატრონოთ არიან მიტოვებულნი.

ჩვენ მოვალენი ვართ მივიღოთ შესაფერისი ზომები და დავაახლოვოთ აგრონომები გლეხთან ეს უეჭველად ასე უნდა მოხდეს. ტფილისიდან და საერთოთ ქალაქებიდან აგრონომები გამოდევნილ უნდა იქნენ. საჭიროა ისინი მივამაგროთ თემებთან და ყოველთვიურად მოვთხოვოთ ანგარიში.

ამ დიდი საქმისათვის ფული არ დაიზოგება. შედეგები სამაგალითო გვექნება და მიზანსაც მივაღწევთ.

როდესაც ომი იწყება, ჩვენ ვაცხადებთ მობილიზაციას, ვიწვევთ ჯარში ყველას და ვგზავნით ფრონტზე; დღეიდან ომი უნდა გამოუცხადოთ მიწის არა კულტურულათ დამუშავებას და „მამა-პაპურ ჩვეულებებს“ და გავიწვიოთ აგრონომები გლეხის უცოდინარობასთან საბრძოლველად.

მ. მესროპოვი.

მ ა დ ლ ო ბ ა

(წერილი რედაქციის მიმართ)

ამხ. რედაქტორო!

ნება მოგვეცით გაზეთ „კომუნისტის“ საშუალებით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ქალ. ფოთის აღმასკომს და პროფ. კავშირს იმ ძმურ დახმარებისათვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს ჩოხატაურის საავადმყოფოს სააღმშენებლო კომიტეტს, რაც გამოიხატება თითეულისაგან 500 მილიონი მანეთის გამოგზავნაში (სულ ერთი მილიარდი მანეთი).

აგრეთვე დიდ მადლობას უძღვნით ამხ. ბესარიონ გოგიას, ილარიონ უჩანეიშვილს და პროკოპ. შეკრელიშვილს, იმ დახმარებისათვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს ჩვენს დელეგატ ას. ცინცაძეს აღნიშნული თანხის მოგროვებაში.

ჩოხატაურის საავადმყოფოს სააღმშენებლო კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე თ. ჩიჩუა.

მდივანი ლ. ლამბაშიძე.

დ. ჩოხატაური, 11 აგვისტო 1923 წ.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება

ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

1923 წ. აგვისტოს 13.

რადგანაც ამხ. ჟოჟკაშვილი დაინიშნა საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარედ,—განთავისუფლებულ იქნეს იგი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოვალეობისაგან.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრათ დაინიშნოს ამხ. მ. ოკუჯავა.

ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მოადგილე გინზბურგი.

დადგენილება № 78

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. აგვისტოს 14

სამრეწველო გადასახადის გადახდევინებაში ინვალიდებისათვის შეღავათის მინიჭების შესახებ.

ამიერ-კავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ ამა წლის აპრილის 5-ს თარიღით გამოცემული დეკრეტის 14 მუხლის საფუძველზე ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენს:**

1. სოციალურ უზრუნველყოფაზე მიღებულ და სოციალური უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის აღნუსხვაზე მყოფ ინვალიდებს, აგრეთვე საინვალიდო შენაერთთ ნება დაერთოთ იქონიონ, — სამრეწველო მოწმობების აუღებლად, - სამრეწველო გადასახადისათვის I და II კატეგორიებზე მითვლილი სავაჭრო საწარმოო და 1 კატეგორიაზე მითვლილი სამრეწველო საწარმოო.

2 ის ინვალიდი, რომელიც 1 მუხლში აღნიშნულ შეღავათით ისარგებლებს, სოციალური უზრუნველყოფისაგან მოიხსნება

ამიერ კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდ. დრ. აღმასრულებელი ნ. ივანიშვილი.

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დრ. აღმასრულებელი ს. ლეკიშვილი.

დადგენილება № 79

ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

სასწავლებელთა სპეციალური ფულადი ფონდის შესახებ.

1923 წლის აგვისტოს 14.

რათა გაუმჯობესებულ იქნეს ყველა სახის სასწავლებელთა ფინანსიური მდგომარეობა—ამიერ-კავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. ნებადართულ იქნეს დაარსება თვითეულ სასწავლებელთან სპეციალური ფულადი ფონდისა, ამა თუ იმ სასწავლებლის სპეციალურ საშუალებათა სახელწოდებით.

2. პირველ მუხლში აღნიშნულ ფონდს შეადგენს:

ა) სწავლის საფასური, სადაც ასეთი დაწესებულია;

ბ) ის შემოსავალი, რაც მიღებულ იქნება კლინიკებიდან, სახელოსნოებიდან, საბჭოთა მეურნეობათაგან და სამოსწავლო-დამხმარე დაწესებულებათა სხვაგვარი სამეურნეო გამოყენებიდან;

გ) შემოსავალი წარმოებითი დაწესებულებებისა, რასაც დაარსებს სასწავლებელი;

დ) ის დახმარებანი, რაც მიღებულ იქნება სახელმწიფო დაწესებულებათაგან და საზოგადოებრივ ორგანიზაციათაგან;

ე) შემოწირულებანი კერძო პირთაგან და შემთხვევითი შემოსავალი.

3. აღნიშნული სპეციალური საშუალებანი შეტანილ უნდა იქნეს სასწავლებლის საშემოსავლო ბიუჯეტში; ამასთანავე ამ შემოსავალთა აღნუსხვამ ხარჯთაღრიცხვაში არ უნდა გამოიწვიოს არსებულ ასიგნობათა შემცირება.

4. სპეციალურ საშუალებათა დახარჯვა სწარმოებს, როგორც სამოსწავლო-დამხმარე დაწესებულებათა შევსებისა და მოწყობისათვის, სამეურნეო საოპერაციო საჭიროებისათვის და საბიუჯეტო თანხების დამატებისათვის, ისე დამატებითი მუშაობისათვის სამოსწავლო დარგში და აგრეთვე შტატის გარეშე მოწვეული სამასწავლებლო და ტეხნიკური პერსონალის შენახვისათვის.

5. აღნიშნულ საშუალებათა მიღებისა, შენახვისა და დახარჯვის წესის და აგრეთვე ანგარიშების წესი—განისაზღვრება ცალკე ინსტრუქციით, რომელსაც გამოსცემს ფინანსთა სახალხო კომისარიატი რესპუბლიკების განათლების სახალხო კომისარიატებთან ერთად.

ამიერ კავკასიის სოც. ფედ. საბჭ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე მ. ორახელაშვილი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის თანამდებობის დრ. აღმასრ. ნ. ივანიშვილი.

ამიერკავკასიის სოც. ფედ საბჭოს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს მდივნის თანამდ. დროებ. აღმასრ. ს. ლეკიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული.

— კვირას, 15 აგვისტოს, საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება აწყობს ექსკურსიას (დელეგატ ქალებისათვის) ავჭალაში, წყალსადენის დასათვალიერებლად.

ყველა ქალთა ორგანიზატორები და დელეგატი ქალები უნდა გამოცხადნენ ტფ. სადგურზე დილის 7 საათზე.

ტფილისის კომიტეტის ქალთა განყოფილება.

— საქართველოს კომუნისტურ ახალგაზრდობის კავშირის ტფილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ყველა საუბნო კომიტეტებს და უჯრედებს, 20 აგვისტოს, ერთიან საკავშირო დღეს უჯრედების სხდომებზე დღის წესრიგში დასვან შემდეგი კითხვები:

1. მოხსენება წარმოებათა ადმინისტრაციისა (ქარხნების, ზავოდებისა და სახელოსნოების) წარმოების მდგომარეობასა და მომავალ პერსპექტივებზე.
2. ანგარიში შინამრეწველებზე შეფობის გამწევ კომისიის მოქმედებისა.
3. ანგარიში ადგილობრივ კომიტეტების წარმომადგენლებისა.

საქ. კომ. ახალ. კავშ. ტფ. კომიტ. პასუხისმგებელ მდივნის მოადგილე ვ. მეტონიძე.

— იმ ამხანაგებს, რომლებმაც პარტიული განაწილების მიხედვით თხოვნები შემოიტანეს ქართულ და რუსულ მუშფაკებზე შესასვლელად, წინადადება ეძლევათ შემოიარონ ტფილისის კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში ანკეტების შესავსებად.

ტფ. კომიტეტის სააგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გამგე. მ. ესსენი.

— წინადადება ეძლევა ამხ. არშაკ მარქარიანს ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებაში.

ც. კ. სააგიტ-საპროპ. განყოფილების გამგის მაგიერ ა. ბუაჩიძე.

— საქართველოს კომუნისტური პარტიის ტფ. ორგანიზაციის მე-4 საუბნო კომიტეტი უცხადებს საქ. კომ. პარტ. ტფ. ორგ. მე-4 საუბნო კომიტეტის ყველა წევრებს, რომ რაიონს დათმობილი აქვს 3 ადგილი ამიერ-კავკასიის უნივერსიტეტში.

მიღების ძირითადი მოთხოვნილება:

მოკლე კურსი ეკონომიური მეცნიერებისა—ბოგდანოვი; შრომის ისტორია—პოკროვსკისა; სოც.-დემოკრატიის ისტორ. მიმოხილვა—ბატურინი; რუსეთის კომპარტიის განვითარების ძირითადი მომენტები—ბუბნოვი; რუსეთის კომუნისტური პარტიის ისტორია—ზინოვიევი; სახელმწიფო და რევოლიუცია—ლენინი; რ. ს. ფ. ს. რ. კონსტიტუცია—სტუჩკასი.

განცხადებები მიიღება აგვისტოს 20-დე საუბნო კომიტეტის სამდივნოში.

მე-4 საუბნო კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნის მაგიერ არუსტანოვი.

3—1

განცხადებები

ალექსანდრა მიხეილის ასული გამრეკელისა შვილებით [illegible] გულბანდით, ვახტანგით და დავითით მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის—საყვარელი ქმარი და უკანასკნელთა მამა

ნიკოლოზ გრიგოლის ძე გამრეკელი

პანაშვიდი 6 ნახ. საათ. საღამოს ყოველ დღე ბინაზე (კირპიჩნის შესახვევი № 19, შესავალი გუნიბის შესახვევიდან). გამოსვენება ბინიდან კვირას 19 აგვისტოს, დილის 9 ნახ. საათ. ნიკოლოზის სასაფლაოზე ვერაზე, დასაფლავება იქვე ლიტურგიის შემდეგ.

(1084 1—1)

ანდრია გრიგოლის ძე კლდიაშვილი და მეუღლე მისი მარიამ მიხეილის ასული და ქალი მათი თინათინა გულიადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის ქვისლი, მეორის სიძე და უკანასკნელის ბიძა

ნიკოლოზ გრიგოლის ძე გამრეკელი

პანაშვიდი 6 ნახ. საათზე საღამოს ყოველ დღე მიცვალებულის ბინაზე (კირპიჩნის შესახვევში № 19, შესავალი გუნიბის შესახვევიდან). გამოსვენება ბინიდან კვირას, 19 აგვისტოს, დილის 9 ნახ. საათზე ვერის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიაში, დასაფლავება იქვე წირვის შემდეგ

(1098 1—1)

კვირას, ა. წ. 19 აგვისტოს, დღის 12 საათზე

ტფილისის აღმასკომის სამნეო სექციის შენობაში

მადათოვის კუნძული № 1 დანიშნულია

განმეორებითი საჯარო ვაჭრობა

15 000 ფ. თივისა, 6.000 ფ. ქერისა და 2 000 ფ ბზის დამზადებისათვის. ყოველგვარი პირობების გაგება შეიძლება სამნეო სექციაში მადათოვის კუნძული № 1. ი. უ ქ. ს. (2098 2—1)

ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატი აცხადებს,

რომ სამშაბათს, 21 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე, ტფილისში, ამიერ-კავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის კომისარიატის ბინაზე (რუსთაველის პროსპექტი № 43) დანიშნულია

სიტყვიერი საჯარო ვაჭრობა

16000 ფუთამდე თივისა და ბზის მისაწოდებლად ცხენებით საზიდ საფოსტო სადგურებისათვის.

საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მსურველებმა განცხადებები უნდა წარადგინონ 21 აგვისტოს შუადღის 12 საათამდე.

საჯარო ვაჭრობის პირობებისა და საკვების რაოდენობის გაგება შეიძლება ყოველდღე კომისარიატის საფოსტო განყოფილებაში.

უკეთუ საჯარო ვაჭრობა არ შესდგა, განმეორებითი ვაჭრობა მოხდება პარასკევს, 25 აგვისტოს, შუადღის 12 საათზე.

(565 1—1)

შავი ქვის მრეწველთა საქართველოს საზოგადოების გამგეობა

ამით აცხადებს, რომ აქციონერთა

ჩვეულებრივი საზოგადო კრება

გაიხსნება

მიმდინარე წლის ათ ენკენისთვეს ნაცვლათ ოცი მარიამობისთვისა.

(1086—2—1) გამგეობა.

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო

ამით აცხადებს, რომ 18 აგვისტოდან შაბათობით და უქმე-დღეების წინ ტფილისიდან და 19 აგვისტოდან კვირაობით კარაკლისიდან მოაგარაკე მგზავრთა კარგ პირობებში სამგზავროთ ტფილის-კარაკლის შორის

ინიშნება ერთი წყვილი დამატებითი სამგზავრო მატარებელი №№ 60 და 61 შემდეგი ცხრილით:

მატ. № 61 გავა ტფილისიდან სალ. 8 ს., 25 წ.	(შაბათობით და უქმე დღეების წინ).
„ „ ჩავა კარაკლისში დილის 6 ს., 30 წ.	
მატ. № 60 გამოვა კარაკლისიდან სალ. 9 საათ.	(კვირაობით და უქმე-დღეებში).
„ „ მოვა ტფილისში დილის 7 ს., 5 წ.	

კრ. 564 2—2

შემთხვევით იყიდება იაფათ

როიალი

(ლეპენბერგის ქარხნის)

იკითხეთ: აბას-აბადის მოედანი მოგნინის პირველი ტუპიკი № 8. პეტრუშევსკაია.

(2—2)

განათლების სახალხო კომისარიატის მუშათა ფაკულტეტის სექტორის განკარგულებაში არსებული **საბუღალტერიო პრაქტიკული კურსი**

ი. ფ. პალატნიკოვის

პლეხანოვის პრ. № 182.

სწარმოებს მიღება ახალ ჯგუფებში.

მეცადინეობა დაიწყება 20 ივლისიდან.

0—16 კურსების გამგე ი. პალატნიკოვი.

ელექტრონის სინათლის

სამკურნალო

საწოლებით **რენტგენი დ'არსონვალი**

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის.

ნერვიული და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ

ავადმყოფთ სწამლობს **ექ. სვიმონ უიფშიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ყორღანოვის ქ. № 20 (501 25—21)

დაეკარგა უმუშევრობის წიგნაკი № 793. ისაკი ხინველის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. (1087 1—1)

დაეკარგა პირადობის მოწმობა სამ თვიანი, მოცემული შუხუთის თემის აღმასკომის მიერ № 403. გიორგი აკურავას სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1085—1—1)

დაეკარგა პასპორტი და სარეგისტრაციო ბარათი ალექსანდრე სანდომისაშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. (1088 1—1)

დაეკარგა საწევრო წიგნაკი № 33 მოცემული გემო კვების კავშირისაგან ვიქტორ კაციტაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1083—1—1)

დაეკარგა პირადობის მოწმობა მოცემული ახალქალაქის მაზრა სოფ. კარწახის კომისარის მიერ ვატარშაკ სიმონის ძე ვოსკანიანცის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. (1090—1—1)

„ზარია ვოსტოკა-ს“ სტამბა, [illegible] ქუჩა № 4